# აჭარა

გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№9 (25.033) შაბათი, 28 - 30 იანვარი, 2023 წ. 50 თეთრი


**გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით**



დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 12-17, შიდამთიან რაიონებში - 8-13 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 3-8 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 10 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 764 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა, მთაში-თოვა.

## კრიალოსანი უსი

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, შეასრულოს ევროკავშირის 12 რეკომენდაცია, რათა საქართველოს მიენიჭოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, - ამის შესახებ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებულ რეზოლუციაშია ნათქვამი. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა მიესალმება საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კუთხით, ამასთან, შეშფოთებას გამოხატავს ქვეყანაში არსებული უკიდურესი პოლიტიკური პოლარიზაციის გამო.

* * *

თბილისის სააპელაციო სასამართლომ, რომელმაც ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, დაადასტურა, რომ პარტია „ლელო-საქართველოსთვის“ დამფუძნებლების მამუკა ხაზარაძის და ბადრი ჯაფარიძის წინააღმდეგ პოლიტიკური ნიშნით სამართლებრივი დევნა გრძელდება, - ნათქვამია „ლელოს“ განცხადებაში. პარტიაში აცხადებენ, რომ სამართლებრივ ბრძოლას გააგრძელებენ როგორც საქართველოს უზენაეს სასამართლოში, ასევე სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში.

* * *

ჩვენ „ქართული ოცნება“ არჩევნების გზით უნდა შევცვალოთ, ეს შესაძლებელია და დღესვე უნდა დავიწყოთ ფიქრი ამაზე, „ქართულ ოცნებას“ არჩევნები უნდა მოვუგოთ. „ქართულ ოცნებას“ აძლიერებს გაუთავებელი ლაპარაკი სააკაშვილზე და ვაშაძის ბაქიბუქი“, - ამის შესახებ „მოქალაქეების“ ლიდერმა ალეკო ელისაშვილმა განაცხადა. იგი „ნაციონალურ მოძრაობას“ ნაწილებად დაშლას უსურვებს. „ნაციონალურ მოძრაობას“ ვუსურვებ, რაც შეიძლება ბევრ ნაწილად დაიშალოს, რომ აღარ იყოს დღის წესრიგის შემქმნელი“, - აღნიშნა ელისაშვილმა.

* * *

ეს არჩევნები შეიძლება დასრულდეს ორი შედეგით: ან პარტია არათუ გადარჩება, მნიშვნელოვნად გაძლიერდება - გაიზრდება როგორც მხარდამჭერთა რაოდენობა, ისე ნდობა მის მიმართ, ან საბოლოოდ დაკარგავს ამ შანსს და გადავა სულის ლაფვის რეჟიმში, - განაცხადა ენმ-ის თავმჯდომარე ნიკა მელიამ. მისი თქმით, იმედია, დამარცხებული აღიარებს არჩევნების შედეგებს და მიულოცავს გამარჯვებულს. ენმ-ის თავმჯდომარის ასარჩევად ფარული კენჭისყრა 28 იანვარს დაიწყება და 30 იანვარს 10:00 საათზე დასრულდება. არჩევნებში 49 756 ამომრჩეველია რეგისტრირებული.

მოამზადა
ია შველიძემ

# თორნიკე რიჟვაძე არაბთა გაერთიანებული საამიროების ელჩს შეხვდა

*აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ არაბთა გაერთიანებული საამიროების ელჩთან საქართველოში აჰმედ იბრაჰიმ აჰმედ ტაჰერ ალნუაიმისთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა. მთავრობის თავმჯდომარემ დიპლომატს ახალ პოზიციაზე დანიშვნა მიულოცა და წარმატებები უსურვა*

შეხვედრაზე საუბარი შეეხო ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობების კიდევ უფრო განვითარებას ისეთ სფეროებში როგორიცაა ეკონომიკა, ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი. აღინიშნა ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის კუთხით არსებული პოტენციალი და ხაზი გაესვა არაბთა გაერთიანებული საემიროებიდან საქართველოში ვიზიტიორთა რიცხვის ზრდის დადებით დინამიკას.

შეხვედრაზე ქვეყნებს შორის ბოლო პერიოდში განხორციელებული მაღალი და უმაღლესი დონის გაცვლითი ვიზიტების მნიშვნელობაზე ისაუბრეს. დაიგეგმა ურთიერთობათა შემდგომი გაღრმავება ვაჭრობის, ეკონომიკისა და ტურიზმის სფეროებში.

**აჭარის მთავრობის პრესსამსახური**



# 1000-მდე ოჯახისთვის აშენდება სახლები

*ეფექტური სოციალური პოლიტიკა და მოქალაქეების საცხოვრისით უზრუნველყოფა ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია*

აჭარის მთავრობა, მუნიციპალიტეტებთან ერთად აგრძელებს სოციალური პროექტების განხორციელებას. ბათუმში 4 სოციალური სახლის მშენებლობა დასრულდა და ხელმისაწვდომი საცხოვრისის პროექტის ფარგლებში ბინა 100 ოჯახს გადაეცემა. წელს იქნება მნიშვნელოვანი წელი „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ პროგრამის მხრივ, 1000-მდე ოჯახისთვის აშენდება სახლები. სოციალური სახლების მშენებლობა აჭარის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს.




**შესაძლებლობა - ფიზიკის მასწავლებლებისათვის** 2

**«სკოლა უნდა დასრულდეს სკოლაში»**
**როგორი სასკოლო გარემო სურთ ბავშვებს... და არამარტო** 4

**ჯანდაცვის მიმართულებით გაზრდილი დაფინანსება და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროგრამები** 3

**ვისთვის იქნება უფასო პაპილომავირუსის ვაქცინა?** 5



ISSN 2720-8702

9 772720 870003



## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

# გორგასლის ქუჩის კეთილმოწყობა მიმდინარეობს

*ბათუმში ვახტანგ გორგასლის ქუჩის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. სამუშაო პროცესს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე ბათუმის მერ არჩილ ჩიქოვანთან ერთად გაეცნო*

ვახტანგ გორგასლის ქუჩაზე, თაყაიშვილისა და მელიქიშვილის ქუჩებს შორის მონაკვეთში, ასფალტის საფარის დაგება მიმდინარეობს. პროექტი ითვალისწინებს გორგასლის ქუჩის კეთილმოწყობას გრიბოედოვის ქუჩიდან ბარათაშვილის ქუჩამდე მონაკვეთში ფარნავაზ მეფის ქუჩაზე მიერთებებით. აღნიშნულ ქუჩაზე მოეწყობა სანიაღვრე სისტემა და ჭები, რეაბილიტირდება დაზიანებული ტროტუარები, ბორდიურები და ველობილიკი. სამუშაოების ღირებულება 1 მილიონ 600 ათას ლარს შეადგენს და მიმდინარე - წლის 20 ივნისს უნდა დასრულდეს. ამავე პროექტის ფარგლებში უკვე დასრულდა ფარნავაზ მეფის ქუჩის რეაბილიტაცია, რისთვისაც 1 მილიონ 800 ათას ლარზე მეტი დაიხარჯა.



# პროექტი „სამოქალაქო საზოგადოება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისათვის საქართველოში“ შეაჯამეს

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

*აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე პროექტის „სამოქალაქო საზოგადოება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისათვის საქართველოში“ შემაჯამებელ შეხვედრას დაესწრო, რომელიც საქართველოს სამ ქალაქში, მათ შორის, აჭარაში, ბოლო ორი წლის განმავლობაში ორგანიზაციების „ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის“ და „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ მიერ ხორციელდებოდა*

- მინდა მადლობა გადავუხადო პროექტის განმახორციელებლებს შეზღუდული სტატუსის მქონე პირთა უფლებების ადვოკატირებისა და ახალი ინიციატივებისათვის. სამინისტრო მჭიდროდ თანამშრომლობს აღნიშნულ ორგანიზაციებთან და ერთობლივი თანამშრომლობით დღემდე არაერთი მნიშვნელოვანი პროგრამა თუ პროექტი ამოქმედებულა. მზად ვართ, უფრო მეტი მხარდაჭერით გავაგრძელოთ მათთან ურთიერთობა, - აღნიშნა სიტყვით გამოსვლისას მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ.



პროექტი „სამოქალაქო საზოგადოება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისათვის საქართველოში“ ევროკავშირის მხარდაჭერით ხორციელდებოდა, რომელიც მიზნად ისახავდა სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას, ასევე, იურიდიული სერვისების განვითარებითა და ეფექტური ადვოკატირებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მართლმსაჯულებაზე წვდომის გაუმჯობესებას და დისკრიმინაციის აღმოფხვრას.

შეხვედრაზე შედგა ახალი პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების კოორდინირებული ადვოკატირება საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ვალდებულებების განხორციელებისთვის“ პრეზენტაცია, რომელიც 2023-2025 წლებში შესრულდება.

# სარწყავი არხები „აგროსერვისცენტრს“ დაექვემდებარება

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

გუშინ შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმდინარე წლის პირველი სხდომა გაიმართა. განიხილეს და დაამტკიცეს 8 დადგენილების პროექტი. მათგან გამორჩეულად მნიშვნელოვანი იყო შარშან დამტკიცებულ ადგილობრივ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა და შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების 2023 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცება. მოისმინეს მერიის ეკონომიკის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსის დავით დავითაძის ანგარიში 2022 წელს გაწეული საქმიანობისა და წელს დაგეგმილი ღონისძიებების თაობაზე.

აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა პროექტთან - „შუახევის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არხების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ დაკავშირებით. ითქვა, რომ აჭარის მთავრობის 2022 წლის 29 ნოემბრის დადგენილებით, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულებისა და ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრის“ ახალი წესდების შესაბამისად, 2023 წლიდან სამელიორაციო სისტემების მართვის პროგრამას და შესაბამისად, სამელიორაციო არხების რეკონსტრუქციასა და მოვლა-შენახვის ღონისძიებებს „აგროსერვისცენტრი“ განახორციელებს. ამ ეტაპზე მათ დაქვემდებარებაში გადავიდა ცინარეთის, ბარათაული-ჭალის, სხეფის, ტაკიძეები-მოსიაშვილების, მაწყვალთის, ბარათაული-ახალდაბის, ვერხვანაროს, ცეკვა-ვარჯანაულის, კვიახიძეები-ლომანაურის, ზემოხევის სარწყავი არხები.



ამ საკითხზე მოსაზრებები გამოთქვეს: საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, დეპუტატებმა ედუარდ გოგრაჭაძემ, გიორგი, მერაბ დავითაძეებმა, ფრიდონ, ვახტანგ ფუტკარაძეებმა, გიორგი კეკელიძემ. სხდომის მონაწილე დეპუტატებმა წარმოდგენილ პროექტებს მხარი დაუჭირეს და დაამტკიცეს. სხდომას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „ლელოს“ პროპორციული სიით არჩეულმა საკრებულოს წევრებმა ამჯერადაც ბოიკოტი გამოუცხადეს.

სხდომაზე სიტყვით გამოვიდა შუახევის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე მირიან აბაშიძე.

# ახალგაზრდები უმაღლესი საბჭოს საქმიანობას გაეცნენ

ნანა აბულაძე 577 20 35 90

*აჭარის უმაღლეს საბჭოს „თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის“ ბაზაზე არსებული ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენლები ეწვივნენ, რომლებსაც საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ საკანონმდებლო საქმიანობის გაცნობის მიზნით უმასპინძლა.*

მარინე გვიანიძემ სტუმრებს უმაღლესი საბჭოს ისტორია, საქმიანობის სპეციფიკა, პრინციპები გააცნო და აღნიშნა, რომ უმაღლესი საბჭოს, როგორც უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ინსტიტუციის შესახებ ცნობადობის ამაღლება, ღიაობა და გამჭვირვალობა ღია მმართველობის 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილია. სტუმრებს მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმებზე, ონლაინსერვისებსა და იმ სიახლეებზე, რომელთა მეშვეობითაც დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობაში, დეტალური ინფორმაცია მიაწოდა მოქალაქეთა ჩართულობის ხელმძღვანელმა ცირა ხაჯიშვილმა. შეხვედრაზე, რომელიც კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, არაერთ მნიშვნელოვან საკითხს შეეხნენ. უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებმა ახალგაზრდებს წარმატებები უსურვეს და მომავალშიც მხარდაჭერა აღუთქვეს.



აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდული ცენტრი „თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის“ ბაზაზე, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამის - „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ ფარგლებში შეიქმნა.

# შესაძლებლობა – ფიზიკის მასწავლებლებისათვის

ნანა აბულაძე 577 20 35 90

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ფიზიკის მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას, გაემგზავრონ ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში (CERN) ერთკვირიან სტაჟირებაზე კვალიფიკაციის ასამაღლებლად და გაეცნონ აღნიშნული ცენტრის მუშაობას, ინოვაციებს, მიღწევებს.



2022 წელს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, აჭარის განათლების ფონდმა ფიზიკის სამი მასწავლებელი გაგზავნა ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში (**CERN - European Organization for Nuclear Research**), ქალაქ ჟენევაში, ერთკვირიან სტაჟირებაზე, რაც ძალიან დიდი გამოცდილება იყო მათთვის. სწორედ აღნიშნულ გამოცდილებაზე გამართა პრეზენტაცია ბათუმის №20 საჯარო სკოლაში ფიზიკის მასწავლებელმა ეთერ ხაბაზმა და დამსწრე საზოგადოებას ბირთვული კვლევების ცენტრში მიღებული გამოცდილება გაუზიარა. პრეზენტაციას აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი დაესწრო. მაია ხაჯიშვილის თქმით, მსგავსი შესაძლებლობები ძალიან მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ რეგიონში აღმოვაჩინოთ ნიჭიერი ადამიანები, რომლებიც დაინტერესდებიან საბუნებისმეტყველო საგნებით.

- საქართველოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით, აჭარის მთავრობა ახორციელებს ჩვენი რეგიონის ფიზიკის პედაგოგებისთვის უნიკალურ პროექტს, რომელიც გულისხმობს მათ ვიზიტს ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში. პედაგოგებს ექნებათ შესაძლებლობა, იხილონ არაჩვეულებრივი ლაბორატორიები, გაეცნონ კვლევებს, ხოლო შემდგომში ეს პრაქტიკა და გამოცდილება გაუზიარონ თავიანთ კოლეგებს ჩვენს რეგიონში, ასევე, სკოლის მოსწავლეებს, იმისთვის რომ უფრო მეტი ახალგაზრდა დაინტერესდეს ფიზიკით, ზოგადად მეცნიერებით და ჩაერთოს სამეცნიერო საქმიანობაში, - აღნიშნა მაია ხაჯიშვილმა.

სამინისტრომ უკვე გამოაცხადა კონკურსი, დაიწყო საბუთების მიღება და ნაცვლად სამისა, წელს ოთხი მასწავლებელი დაფინანსდება, რომლებიც აპრილის დასაწყისში, **CERN**-ში ერთკვირიან სტაჟირებაზე გაემგზავრებიან.

# ჯანდაცვის მიმართულებით გაზრდილი დაფინანსება და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროგრამები

დარინა ბაბაიძე 514 22 22 80

*აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი წელს თითქმის 4 მილიონი ლარით გაიზარდა და 33 235 000 ლარი შეადგინა. სამინისტრო ჯამში 36 პროგრამას ახორციელებს, მათ შორისაა ახალი პროგრამები. ამ და სხვა სიახლეებზე ჩვენს კითხვებს აჭარის ჯანდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ მარინა ზანაქიძემ უპასუხა. საუბარი სამინისტროს პრიორიტეტებით დავიწყეთ*



- აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს პრიორიტეტი, რა თქმა უნდა, მოქალაქეებისთვის ჯანდაცვის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდაა. ნებისმიერი სამედიცინო მომსახურება მაქსიმალურად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფინანსურადაც და გეოგრაფიულადაც. შესაბამისად, ყოველ წელს ხდება პროგრამების განახლება, გადახედვა, ახალი პროგრამების პილოტურად დაწყება მოქალაქეების მომართვიანობისა და საჭიროების გათვალისწინებით. ჩვენთვის თითოეული მოქალაქის მომართვა მნიშვნელოვანია. თუკი რამდენიმე მოქალაქეს ინტენსიურად სჭირდება ესა თუ ის სამედიცინო მომსახურება და არცერთი სახელმწიფო პროგრამა არ ფარავს, ამ პრობლემას შევისწავლით ასოციაციებთან, სპეციალისტებთან ერთად და შემდეგ ვიწყებთ დაფინანსებას. ჩვენი პროგრამებით მოსარგებლეები აუცილებლად უნდა იყვნენ რეგისტრირებულნი აჭარის ტერიტორიაზე.

**- დაფინანსების გაზრდამ ახალი პროგრამების დამატების საშუალება მოგცათ?**

- დიახ, მიმდინარე წელს დაემატა რამდენიმე ახალი პროგრამა, თუმცა ბიუჯეტი არა მხოლოდ ახალი პროგრამის ამოქმედებით, არამედ არსებული პროგრამების გაფართოებითაც იზრდება. მედიცინა ვითარდება, ინერგება ახალი სერვისები, ახალი დიაგნოსტიკური კვლევები - შესაბამისად, სიახლეები აისახება ჩვენს პროგრამებში. ბიუჯეტი ასევე, იზრდება წლის განმავლობაში საჭიროების შესაბამისად. ახალი წლიდან ახალი პროგრამების დაწყებასთან ერთად, თავისთავად ბიუჯეტი მზარდია.

**- რამდენი ახალი პროგრამაა წელს?**

- როგორც იცით, სამინისტროს ექვემდებარება ორი საქვეუწყებო დაწესებულება - საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი და დასაქმების სააგენტო. ჯამში სამინისტრო ახორციელებს 36 პროგრამას. ჯანდაცვის და სოციალური მიმართულებით 2023 წელს ამოქმედდა სამი ახალი პროგრამა: ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების მქონე პაციენტების სტაციონარული მკურნალობა. ეს არის სახელმწიფო პროგრამის იდენტური მომსახურება, რომლის ძირითადი მიზანია გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა და პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება. მინდა აღვნიშნო, რომ ამ შემთხვევაში ფინანსდება პაციენტების სტაციონარული მკურნალობა და ისინი მომსახურების შემთხვევაში გამოიყენება და პაციენტს უფრო ეფექტური მკურნალობის შესაძლებლობას აძლევს და უნარჩუნებს მხედველობას. ამ პროგრამით სარგებლობა შეუძლია გარკვეული სოციალური კატეგორიის მოსახლეობას, ვინც ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის, არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში, უწყვეტად არიან რეგისტრირებულნი აჭარის ტერიტორიაზე. სოციალური მიმართულებით დავიწყეთ შშმ პირის სტატუსის მქონე მშობელთა და ორსულთა ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს შშმ მშობლისა და ორსული ქალების მატერიალურ მხარდაჭერას. მოსარგებლეები არიან: ერთ წლამდე ასაკის ბავშვის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მშობლები და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ორსული (22 კვირისა და მეტი ვადის ორსულობით). პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა 2 000 ლარის ოდენობით. თანხა ირიცხება ბენეფიციარის საბანკო ანგარიშზე. პროგრამა განხორციელდა არასამთავრობო ორგანიზაციის ინიციატივით, რომლის შესწავლისა და განხილვის შემდეგ, წელს პილოტურად დავიწყეთ.

**- მკითხველს განსაკუთრებით აინტერესებს, აქ მშობელში მამაც იგულისხმება? ანუ არა მხოლოდ ფეხმძიმე ქალბატონებს და დედებს, არამედ შშმ პირის სტატუსის მქონე მამებსაც შეუძლიათ ამ პროგრამით სარგებლობა?**

- პირველ ეტაპზე, პროგრამის დამუშავების პროცესში დედებზე იყო საუბარი, თუმცა საბოლოოდ, პროგრამა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მშობელს, დედასაც და მამასაც გულისხმობს. არ აქვს მნიშვნელობა, რომელს ექნება შშმ პირის სტატუსი, თუ ოჯახში ჰყავთ 1 წლის ასაკის შვილი, ან არის ორსული (გესტაციის 22 კვირა და მეტი), ის პროგრამის მოსარგებლეა. ასევე სიახლე გვაქვს საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით. დაიწყო სამი ახალი პროგრამა, ეს არის მშობელთა სკოლა ორსულთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობისათვის, რომლის ფარგლებში მომავალი დედა სწავლობს, როგორ მართოს თავისი ორსულობა, მშობიარობა, როგორ გააჩინოს უფრო ჯანმრთელი ბავშვი და ა.შ. გარდა ამისა, დავიწყეთ გენეტიკური კვლევების დაფინანსება, კერძოდ, ეს არის თანდაყოლილი პათოლოგიების დროს ახალშობილთა მეტაბოლური სკრინინგი. 35-ზე მეტი თანდაყოლილი გენეტიკური პათოლოგიის კვლევა მოხდება, რაც საშუალებას მოგვცემს, ადრეულ ეტაპზე გამოვლინდეს დაავადება და საჭიროების შემთხვევაში დაიწყოს მკურნალობა. სახელმწიფო და აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის პროგრამებით, აჭარაში მიმდინარეობს ტყვიის ექსპოზიციის კვლევა 7-დან 14 წლამდე ასაკის ბავშვებში. ოჯახებში, სადაც დაფიქსირდება სისხლში ტყვიის მაღალი შემცველობა, წელს პირველად, პროგრამულად მოხდება გამომწვევის წყაროს შესწავლა, საიდან მოდის და რატომ არის ექსპოზიციის მაღალი მონაცემი ამა თუ იმ ოჯახში.

**- რას ნიშნავს DRG სისტემა?**

- გასული წლის 1 ნოემბრიდან საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრომ აამოქმედა დაფინანსების ახალი მოდელი - DRG მეთოდი, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ყველა კლინიკაში გარკვეულ დიაგნოზებზე სამედიცინო მომსახურება არის ერთი და იგივე ღირებულების. სახელმწიფოს აქვს განსაზღვრული ტარიფი და ამ ტარიფს ზემოთ შიდა სტანდარტული მომსახურების თანაგადახდის პაციენტზე დაკისრების უფლება კლინიკას აღარ აქვს. თუმცა თანაგადახდა სახელმწიფო ტარიფის ფარგლებში პაციენტს უწევს 10-დან 30 %-მდე. კარდიოქირურგიისა და ონკოქირურგიის შემთხვევაში აჭარის მოსახლეობას თანაგადახდის წილს უფარავს ჩვენი სამინისტრო. შესაბამისად, აღნიშნული დიაგნოზის მქონე პაციენტებს მომსახურება 100%-ით უფინანსდებათ. გეგმური ქირურგიული მომსახურების შემთხვევაში კი თანადაფინანსება ხორციელდება პაციენტის სოციალური სტატუსის გათვალისწინებით. ასევე, წელს თანაგადახდის პროგრამით იფარება პირველი და მეორე დონის ინტენსიური თერაპიის მომსახურება, თუ პაციენტს დასჭირდა. აგრეთვე, მომართვის და დაფინანსების მიღების საშუალება აქვთ კორპორატიული და ინდივიდუალური დაზღვევის მქონე მოქალაქეებს, თუ მათ ამოეწურებათ დაზღვევის ლიმიტი და მკურნალობა მოითხოვს დამატებით სამედიცინო ჩარევას. სოციალური მიმართულებით გაიზარდა პროგრამების ბიუჯეტი და ბენეფიციართა რაოდენობა. მიმდინარე წელს მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში დაემატება მე-4 საცხოვრისი.

**- გულისა და ღვიძლის ტრანსპლანტაციის დაფინანსებაც გაზრდილია?**

- გულის ტრანსპლანტაციის დაფინანსება გაიზარდა 220 000 ლარამდე. ასევე, გაიზარდა ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია: აუტოლოგიური ტრანსპლანტაცია - 95 000 - 125 000 ლარამდე, ალოგენური - 170 000 - 200 000 ლარამდე, ჰაპლოიდური - 205 000 - 235 000 ლარამდე. მიმდინარე წელს 80 - 100 % -მდე გაიზარდა იმ სამედიცინო მომსახურების დაფინანსება, რომელიც არ არის განსაზღვრული DRG მეთოდით. აგრეთვე 90-100 %-მდე - გეგმური გულის ანდა კორონარული არტერიების ანგიოგრაფია. ასევე 90-100 %-ით ფინანსდება ძუძუს კიბოს საწინააღმდეგო თარგენტული, იმუნოთერაპიული და ბისფოსფონატების ჯგუფის მედიკამენტები, ძვირად ღირებული ლაბორატორიული კვლევები. გაიზარდა დასაფინანსებელი სიმსივნის საწინააღმდეგო მედიკამენტების ნუსხა და წლიური ლიმიტი - 25 000 ლარამდე, თითოეულ მომართვაზე დასაფინანსებელი თანხის ოდენობა - 10 000 ლარამდე. პოზიტრონ-ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფიული (PET/CT) კვლევა ფინანსდება 90-100% -მდე.

> *„სახელმწიფოს აქვს განსაზღვრული ტარიფი და ამ ტარიფს ზემოთ შიდა სტანდარტული მომსახურების თანაგადახდის პაციენტზე დაკისრების უფლება კლინიკას აღარ აქვს. თუმცა თანაგადახდა სახელმწიფო ტარიფის ფარგლებში პაციენტს უწევს 10-დან 30 %-მდე. კარდიოქირურგიისა და ონკოქირურგიის შემთხვევაში აჭარის მოსახლეობას თანაგადახდის წილს უფარავს ჩვენი სამინისტრო. შესაბამისად, აღნიშნული დიაგნოზის მქონე პაციენტებს მომსახურება 100%-ით უფინანსდებათ*

**- როგორც ვიცით, მოსახლეობის მომართვიანობა გახშირებულია, რას უკავშირებთ ამ ფაქტს?**

- ზოგადად, ამის მიზეზი ძალიან ბევრი რამ შეიძლება იყოს, მათ შორის სხვადასხვა დაავადების ე.წ. გაახალგაზრდავება, ასევე დაავადებათა დიაგნოსტიკის ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში დაიწყო ბევრი ახალი მაღალტექნიკური კვლევის დაფინანსება, რამაც ექიმებს პათოლოგიების ადრეულ ეტაპზე გამოვლენის საშუალება მისცა. მიზეზებს შორის ასევე შეიძლება იყოს დაბინძურებული გარემო, სხვადასხვა ვირუსული ინფექცია, არაჯანსაღი საკვები. ამ ყველაფრის ერთობლიობა იწვევს დაავადებათა სიხშირეს და შესაბამისად, მომართვიანობას.

**- რას გვეტყვით ეკომიგრანტ ოჯახებზე?**

- ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, თანადაფინანსება 40 000 ლარამდე გაიზარდა. პროგრამის ბიუჯეტი 4 080 000 ლარს შეადგენს. 2022 წელს პროგრამის ფარგლებში შეძენილია 72 საცხოვრებელი ფართი, რისთვისაც ბიუჯეტიდან 2 160 000 ლარი გამოიყო. ასევე, გასულ წელს აჭარის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდა სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზარალებული 158 ოჯახი, გამოიყო მილიონ 924 153 ლარი. დასაქმების სააგენტო 2023 წელს პირველად დაიწყებს ახალ პროგრამებს, რომლებიც გულისხმობს ინფორმაციულ-ტექნოლოგიურ სფეროში დასაქმება-თვითდასაქმებისათვის საჭირო უნარების განვითარებას, დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობას სამუშაო იარაღებით უზრუნველყოფის გზით.

## უცხოეთი

სამხედრო და საფინანსო დახმარების კონტროლის მიზნით უკრაინაში ამერიკელი აუდიტორები ჩავიდნენ. ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ვიქტორია ნულანდმა სენატში განაცხადა. „ადმინისტრაცია მომავალშიც კონცენტრირებულია იმაზე, რომ არ დაუშვას დახმარებისა და იარაღის არამიზნობრივი გამოყენება“, - თქვა ნულანდმა. უკრაინისადმი გაწეულ სამხედრო და ფინანსურ დახმარებაზე კონტროლის გაძლიერების იდეას აშშ-ის წარმომადგენელთა პალატაში უმრავლესობის მქონე „რესპუბლიკელები“ ლობირებენ.

* * *

დაასრულეთ ეს გიჟური ომი, - ამ სიტყვებით გამოეხმაურა აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი უკრაინისათვის საბრძოლო ტანკების გაგზავნის შესახებ აშშ-ის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას. „ჯერ ტანკები იქნება, მერე ბირთვული რაკეტები. დაასრულეთ ეს გიჟური ომი ახლა. ეს ხომ ასე მარტივი გასაკეთებელია“, - განაცხადა აშშ-ის 45-ე პრეზიდენტმა. 25 იანვარს აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ აშშ უკრაინას „აბრამსის“ 31 ტანკს გადასცემს.

* * *

ევროკავშირის საგარეო საქმეთა სამსახურის გენერალური მდივანი სტეფანო სანინო აცხადებს, რომ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი „სპეციალური ოპერაციის“ კონცეფციიდან ნატოსა და დასავლეთის წინააღმდეგ ომის კონცეფციაზე გადავიდა. „ვფიქრობ, რომ უკანასკნელი განვითარება შეიარაღების მიწოდების კუთხით არის მხოლოდ სიტუაციის ევოლუცია და ასევე იმის, თუ როგორ დაიწყო რუსეთმა ომის სხვა ეტაპზე გადატანა,“ - აღნიშნა სანინომ და დასძინა, რომ რუსეთი ახორციელებს „განურჩეველ თავდასხმებს“ მშვიდობიან მოსახლეობასა და ქალაქებზე და არა სამხედრო ობიექტებზე.

* * *

პალესტინის მხრიდან ისრაელის სამხრეთ ნაწილზე სარაკეტო იერიში მიიტანეს. რაკეტები ჰაერსაწინააღმდეგო სისტემამ გაანეიტრალა, რის შემდეგაც ისრაელმა სარაკეტო დარტყმა ღაზის სექტორს მიაყენა. არსებული მონაცემებით, სროლას მსხვერპლი არ მოჰყოლია. აღსანიშნავია, რომ პალესტინის მხრიდან სროლას წინ უძღოდა დასავლეთ სანაპიროზე ისრაელის მიერ ჩატარებული მასშტაბური რეიდი.

* * *

უნგრეთი ვეტოს დაადებს ევროკავშირის ნებისმიერ სანქციას რუსეთის წინააღმდეგ, რომელიც გავლენას მოახდენს ბირთვულ ენერგიაზე, - განაცხადა ვიქტორ ორბანმა. „ჩვენ არ დავუშვებთ სანქციებში ბირთვული ენერგიის ჩართვის გეგმის განხორციელებას, ეს გამორიცხულია“, - აღნიშნა უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა. უკრაინამ ევროკავშირის ქვეყნებს მოუწოდა, სანქციებში ჩართოს რუსული სახელმწიფო ბირთვული ენერგეტიკული კომპანია „როსატომი“, თუმცა უნგრეთი, რომელსაც აქვს რუსეთის მიერ აშენებული ატომური ელექტროსადგური და „როსატომთან“ ერთად მის გაფართოებასაც გეგმავს, ამ შეთავაზებას ბლოკავს.

მოამზადა
ია შველიძე

# „სკოლა უნდა დასრულდეს სკოლაში“

## როგორი სასკოლო გარემო სურთ ბავშვებს... და არამარტო

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„წარმოიდგინეთ, მამა გვიან მოდის სახლში, წასულია, მუშაობს. ერთი საათი აქვს ბავშვთან ურთიერთობისათვის. ეს ერთი საათი იმაში უნდა დახარჯოს, რომ ბავშვს თავზე დაადგეს, გაკვეთილი გამოჰკითხოს. ბავშვიც დაიჩაგრა და მამასაც ვერ გაუხარდა შვილის ნახვა. ვინ შეიტანა ეს გაუგებრობა მამაშვილს შორის? იმ მასწავლებელმა, რომელმაც ქიმიაში დავალება მისცა, მეორემ - ბიოლოგიაში, მესამემ - მათემატიკაში და ასე შემდეგ. ბავშვი ერთია და 6 დავალება დაატყდა თავს. თითო დავალებაზე 20-30 წუთი მაინც ვიანგარიშოთ. 6 საათი სკოლაში იყოს, 3 საათი დავალებებს ამზადებდეს - 9 საათი გამოვიდა. როდისღა დაიძინოს? მამას და დედას როდის დაელაპარაკოს? ბებია-ბაბუას როდის მოეფეროს?“ - სვამს კითხვას ჰუმანური პედაგოგიკის ფუძემდებელი, აკადემიკოსი შალვა ამონაშვილი და იქვე დასძენს, რომ უნდა შეიცვალოს მიდგომები, რათა ბავშვებისათვის სკოლა გახდეს ის სივრცე, სადაც დიდი სიხარულით ივლიან. მისივე თქმით, შესაძლებელია პედაგოგმა არ მისცეს ამდენი დავალება ბავშვს და მოტივაციის ასამაღლებლად საინტერესო სიახლეები შესთავაზოს.

ბოლო პერიოდში არაერთი გადაცემა თუ სტატია მიეძღვნა ბავშვთა უფლებებს, მათთვის სკოლებში ჯანსაღი გარემოს შექმნას. საუბარია არაერთ კომპონენტზე, რომელიც ფსიქოლოგების, განათლების სფეროს ექსპერტების, მასწავლებლებისა და მოსწავლეების მოსაზრებით, საჭიროებს გადახედვას, შეცვლას. განათლების ექსპერტები ხაზს უსვამენ ერთ-ერთ მთავარ საჭიროებას, რომელიც სასკოლო კვების საკითხს ეხება და მიიჩნევენ, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სკოლაში ერთჯერადი კვება მაინც. ამ საკითხის გადაწყვეტაში ისინი მნიშვნელოვნად მიიჩნევენ მშობელთა ჩართულობას, ასევე, საზოგადოების ყველა ჯგუფის გაერთიანებას. როდესაც საქმე სკოლას და მოსწავლეებს, სწავლა-სწავლებას ეხება, არაერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი გამოიკვეთება ხოლმე. არის საკითხები, რაზეც, ბუნებრივია, სხვადასხვა აზრი აქვთ ადამიანებს, მაგრამ იმაზე, რომ დღეს განათლების სისტემაში ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი, ყველა თანხმდება. როგორი სკოლა და სასკოლო გარემო სურთ ბავშვებს, რა მიაჩნიათ მთავარ გამოწვევად? ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთი საჯარო სკოლის მოსწავლეებს გავესაუბრე, რომელთა კომენტარებსაც უცვლელად გთავაზობთ, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ არასრულწლოვნები არიან, მათ სახელებს ვცვლით.

**ნინია (მე-9 კლასი):**

- ძალიან კარგად ვსწავლობ. მასწავლებლებიც, მშობლებიც მაქებენ და მეუბნებიან, რომ კლასში გამორჩეული მოსწავლე ვარ. რა თქმა უნდა, მიხარია ეს შექება, ამავდროულად, მერიდება, რადგან რამდენიმე მასწავლებელს მხოლოდ მე ვყავვარ „ამოჩემებული“ და ჩემი სხვა კლასელები იჩაგრებიან. „ნინია მოყევი, ნინია წაიკითხე, ნინია დაფასთან გამოდი“ - იმდენად ხშირად აჟღერებენ ჩემს სახელს, რომ არც კი უფიქრდებიან, ამით გულს რომ სტკენენ სხვა მოსწავლეებს. მიმაჩნია, რომ მასწავლებელი ყველას ერთნაირად უნდა მოეფეროს, ყველას ერთნაირი სითბო აგრძნობინოს და ერთ-ორ მოსწავლეზე არ უნდა იყოს ორიენტირებული. გუშინ ჩემმა კლასელმა გაკვეთილი არ იცოდა და ისე გალანძღა მასწავლებელმა, ცრემლები წამომივიდა. სულ ოროსანი და უნიჭო ეძახა. არადა, სულაც არ არის უნიჭო, ძალიან კარგად მღერის და ცეკვავს, მერე რა, რომ ვერ ისწავლა ლექსი? ის კარგი ადამიანია.

**თაზო (მე-7 კლასი):**

- სკოლაში სიარული არ მეზარება, მაგრამ ზოგიერთ გაკვეთილზე დასწრება არ მსიამოვნებს - არ უნდა იმოძრაო, არ უნდა ილაპარაკო. ქიმიის მასწავლებელი გაკვეთილს ხსნიდა, კითხვა დამებადა და რომ არ დამვიწყებოდა, მაშინვე დავუსვი, სულ გაუზრდელი მეძახა. არ შეიძლება ასე, ძალიან ცუდად მოქმედებს ლანძღვა ყველა ბავშვზე. მესმის, რომ ცელქები ვართ, მაგრამ მთელი 45 წუთი გაკვეთილზე ჯდომა არ არის ადვილი. ვფიქრობ, დღეში 4-5 გაკვეთილი საკმარისია ბავშვისთვის. იმასაც დავამატებ, რომ მხიარული მასწავლებლები მინდა იყვნენ ყველა სკოლაში, ბევრი გაბრაზებული სახით დადის, ალბათ, ფიქრობს, რომ ამით შეგვაშინებს. უმჯობესია, სახალისო გაკვეთილები ჩაგვიტარონ, თორემ არცერთი მასწავლებლის არ მეშინია.

> ,, *სკოლაში სიარული არ მეზარება, მაგრამ ზოგიერთ გაკვეთილზე დასწრება არ მსიამოვნებს - არ უნდა იმოძრაო, არ უნდა ილაპარაკო. ქიმიის მასწავლებელი გაკვეთილს ხსნიდა, კითხვა დამებადა და რომ არ დამვიწყებოდა, მაშინვე დავუსვი. სულ გაუზრდელი მეძახა. არ შეიძლება ასე, ძალიან ცუდად მოქმედებს ლანძღვა ყველა ბავშვზე. მესმის, რომ ცელქები ვართ, მაგრამ მთელი 45 წუთი გაკვეთილზე ჯდომა არ არის ადვილი*

**დაჩი (მე-6 კლასი):**

- ძალიან მიყვარს ჩემი კლასელები და ყოველდღე მიხარია მათი ნახვა, თუმცა, გაკვეთილების რა გითხრათ, ამდენი დავალება დამღლელია. მაგალითად, მათემატიკის მასწავლებელმა საახალწლო არდადეგებზე 25 მაგალითი მოგვცა დასაწერად, სხვა საგნების მასწავლებლებმაც თავიანთი დავალებები დაგვიმატეს და დასვენების ნაცვლად, უფრო დავიღალე. მარტო ის გამიხარდა, რომ თოვლის ბაბუამ სასურველი საჩუქარი მომიტანა.

**დავითი (მე-12 კლასი):**

- შემიძლია თამამად ვთქვა, რომ სასკოლო პროცესი არ არის ორიენტირებული ბავშვზე, სკოლას მხოლოდ შედეგი აინტერესებს, ის, თუ როგორ წარმოვაჩენთ ამა თუ იმ ოლიმპიადაზე, სპორტულ შეჯიბრებებზე. სკოლა ხომ არ არის მხოლოდ განათლების ადგილი? ეს არის ჩვენი, ბავშვების სოციალიზაციის ადგილი. სამწუხაროდ, მასწავლებლები, გამონაკლისებს თუ არ ჩავთვლით, არ არიან ჩვენი მხარდამჭერები. ვერ გვეგუებიან იმის გამო, რომ თითქმის ყველა საკითხზე განსხვავებული მოსაზრება გვაქვს. ბავშვებში სკოლისადმი ნეგატიური დამოკიდებულება შეიძლება პირველი კლასიდანვე დაიწყოს, რადგან მას სულ სხვანაირად უხატავდნენ მშობლები, ბებია-ბაბუები სკოლას და სულ სხვა აღმოჩნდა. ამიტომ ყველამ ერთად უნდა შევცვალოთ მიდგომები, უფრო სასურველი უნდა გავხადოთ სწავლა-სწავლების პროცესი. ამაში კი ყველაზე დიდი როლი მასწავლებლებს აკისრიათ. თუ ადამიანი მოწოდებით მასწავლებელია, ყოველთვის შეძლებს, მოსწავლეს შეაყვაროს თავიც და ის საგანიც, რომელსაც ასწავლის. აქვე კიდევ ერთ მოსაზრებას გაგიზიარებთ: ვფიქრობ, აუცილებელია საგანმანათლებლო პროცესში დაემატოს სქესობრივი აღზრდის საგანი, ასევე, საშინაო დავალებების დაწერა-არდაწერა გახდეს ნებაყოფლობითი.

**ანა (მე-6 კლასი):**

- მინდა სკოლაში კვება იყოს, მეოთხე გაკვეთილზე ისე მომშივდება ხოლმე, რომ მასწავლებლის არცერთი სიტყვა აღარ მესმის. ფუნთუშას ვყიდულობ, მაგრამ არ მყოფნის. კიდევ იცით, რა მინდა? ამდენი წიგნი არ დამქონდეს სკოლაში. დედამ ექიმთან წამიყვანა და ხერხემლის გამრუდება აქვსო, გვითხრეს. მას შემდეგ ბაბუა ატარებს ჩემს ჩანთას, მაგრამ ისიც მეცოდება, მოხუცია და არ მინდა, იმასაც ასტკივდეს ჩემსავით ხერხემალი. მიყვარს სკოლა, ყველა ჩემი კლასელი და მასწავლებელი. მაგრამ ერთი მკაცრი მასწავლებელი მყავს და მისი გაკვეთილები არ მომწონს, არც ჩემს კლასელებს მოსწონთ. ეს ქალი ჩემს მამიკოსაც ასწავლიდა და მამამ მითხრა, მკაცრია, მაგრამ კარგი ადამიანია და მისგან ბერ რამეს ისწავლიო. მგონი, უკვე მომწონს, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის არასდროს იღიმის. მე მამის მჯერა.

კომენტარი ვთხოვეთ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ **ლია ქამადაძეს.** მისი განცხადებით, ყველა ის მასწავლებელი შესაცვლელია, ვისაც არ სურს განვითარება და ცვლილება. ბავშვისთვის ქცევის პირველი მოდელი მშობელი და შემდეგ მასწავლებელია, რომლებსაც უპირობოდ უნდა შეეძლოთ ბავშვის სიყვარული და მხარდაჭერა.

- ჩემი კლასების მაგალითზე შემიძლია ვთქვა, რომ მოსწავლეთა იმ ნაწილს არ უყვარს სკოლა, ვინც არაფერს აკეთებს. ჩემს სადამრიგე-



> ,, *მოსწავლეებს სურთ, ყველა მასწავლებელს მრავალფეროვანი გაკვეთილები ჰქონდეს. მიმაჩნია, რომ მოსწავლეები ზედმეტად დატვირთული არ არიან, კლასშიც მუშაობენ და ამზადებენ ნიადაგს იმ დავალებისთვის, რაც საშინაოდ უნდა შეასრულონ. ინტერნეტთამაშები უფლანგავთ ბავშვებსაც და დიდებსაც დროს და არა - დავალებები. ყველა საგანში საგაკვეთილო პროცესი თუ იქნება ნორმალურად წარმართული, არაფერია საწუწუნო თავისუფალი დროის უქონლობის გამო*

ბლო კლასში 11 მოსწავლე მყავს, მათგან ორს არ უყვარს სკოლა, სწორედ ეს ორია ზარმაცი და უდისციპლინო, დანარჩენები ინტერესითა და სიამოვნებით ერთვებიან საგაკვეთილო პროცესებშიც და საინტერესო დავალებებსაც წერენ. ბავშვებს ახალი სახელმძღვანელოები ანებივრებს არჩევანის თავისუფლებით და დავალებას იმ ფორმით ასრულებენ, როგორც მოსწონთ: ვინ რვეულში წერს, ვინ - პოვერპოინტში, ვინ ვიდეოს ამზადებს, ვინ - პოსტერებს. მოსმენის ნაწილიც არაა უინტერესო, რადგან ერთსა და იმავეს არ ისმენენ და თავადაც მშვენივრად და არგუმენტირებულად აფასებენ როგორც საკუთარ, ასევე სხვის დავალებას. მოსწავლეებს სურთ, ყველა მასწავლებელს მრავალფეროვანი გაკვეთილები ჰქონდეს. მიმაჩნია, რომ მოსწავლეები ზედმეტად დატვირთული არ არიან, კლასშიც მუშაობენ და ამზადებენ ნიადაგს იმ დავალებისთვის, რაც საშინაოდ უნდა შეასრულონ. ინტერნეტთამაშები უფლანგავთ ბავშვებსაც და დიდებსაც დროს და არა - დავალებები. ყველა საგანში საგაკვეთილო პროცესი თუ იქნება ნორმალურად წარმართული, არაფერია საწუწუნო თავისუფალი დროის უქონლობის გამო. დროს სწორად უნდა დაგეგმვა. დღევანდელი პროგრამები კეთებით სწავლაზეა აგებული, მოსწავლეები კლასში აკეთებენ ყველაფერ იმას, რასაც სახლში საშინაო დავალების სახით შეაჯამებენ. აღსანიშნავია, რომ ბავშვებს მშობელთა ყურადღება აკლიათ და სკოლაში, ხშირ შემთხვევაში, მშივრები დადიან. ყველაზე დიდი პრობლემა ეს მგონია. მშობელთა უდროობა და საჭირო დროს სწორი დახმარების არცოდნაა საზოგადოებრივი პრობლემა. ზოგადად, კლასში 15-18 მოსწავლეზე მეტი არ უნდა იყოს. არაკომპეტენტური მასწავლებელი არ უნდა შედიოდეს სკოლაში, შეიძლება მკაცრად ჟღერდეს, რასაც ვიტყვი, მაგრამ დღეს ძალიან ბევრი მასწავლებელი არაა კლასში შესაშვები. რამდენი ვიცი, ჭირივით ეზარება სკოლა და გაკვეთილი, მაგრამ ხელფასი უნდა და დადის. ასეთი მასწავლებელი ბავშვს ვერც თავს შეაყვარებს და ვერც საგანს. არაპროფესიონალი კადრების ცოდვა უნივერსიტეტებს აწევთ. ჩემი ყოფილი მოსწავლეები რომ მეუბნებიან, სკოლაში რაც გვასწავლეთ, ისიც დაგვავიწყდა უნივერსიტეტშიო, ასეთი სასწავლებელი დასახურია. საატესტატო გამოცდების გაუქმება დიდი შეცდომა მგონია. სამინისტრომ თავი მოიტყუა, როცა საგამოცდო ზღვრები დაიყვანა ზედმეტად დაბლა. აპლიკანტს ჰგონია, რომ ჩააბარა და საკმარისია მისი მომზადების დონე და მანამ ვერ აფასებს თავის ცოდნას, სანამ საქმის კეთებას არ დაიწყებს. მასწავლებლის ხელფასი უნდა იყოს ცხოვრების უზრუნველყოფის საშუალება, რათა არ დასჭირდეს სხვა შემოსავლებზე ფიქრი. მოკლედ, ყველგან და ყველაფერში საზოგადოებრივი გულგრილობა დამღუპველია, მხოლოდ სიყვარულშია ხსნა, საქმისა და ბავშვის სიყვარულში, თორემ, რაც არ იცი, როცა გიყვარს და გინდა, ისწავლი. განვითარების უამრავი საშუალება და რესურსია დღეს, - გვითხრა ლია ქამადაძემ.

კლინიკური ფსიქოლოგი, ფსიქოთერაპევტი, არასამთავრობო ორგანიზაცია „იალქანის“ ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი **ზურაბ ქარჩავა** თვლის, რომ სკოლაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოა. მისი აზრით, დღემდე ბევრ სკოლაში ამ მხრივ მძიმე სურათია - იქ ნაცრისფერი კედლები, მაგიდები, დაფები და, ზოგადად, არაშემოქმედებითი გარემო გვხვდება.

- ბავშვები დილიდან თითქმის დღის სამ საათამდე იმყოფებიან სკოლაში, მათ შორის ძალიან ბევრია სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებიდან და, შეიძლება ითქვას, უმეტეს შემთხვევაში, მშივრები არიან. შესაბამისად, სკოლამ უნდა უზრუნველყოს მათი ერთჯერადი კვება მაინც. თუ ბავშვი მშიერია, მისთვის განათლების პროცესი არ იქნება აქტუალური, პრიორიტეტული. შიმშილში მხოლოდ კუჭის შევსებას არ ვგულისხმობ, ეს არის ადამიანის ბაზისური მოთხოვნილება, რომელიც პირდაპირ კავშირშია უამრავ სხვა საკითხთან, მაგალითად, კმაყოფილების, სიამოვნების განცდასთან. აღნიშნული პირდაპირ კავშირშია აგრესიასთან, ბულინგთან, თვითშეფასებასთან და ასე შემდეგ. ძალიან კარგი იქნება, საგანამანათლებლო სივრცეში ეს კომპონენტი მოწესრიგებული იყოს იმისათვის, რომ ბავშვები ორიენტირებული იყვნენ განათლებაზე. ზოგადად, ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობა ძალიან დიდ გავლენას ახდენს მეხსიერებაზე, შემოქმედებით აზროვნებაზე და ასე შემდეგ. ყველა ის ფსიქიკური და ფიზიკური ფუნქცია, რომელიც მნიშვნელოვანია, რომ ბავშვმა გამოიყენოს სასწავლო პროცესში, პირდაპირ კავშირშია პირველადი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან. ასევე, ყველაზე აქტუალური საჯარო სკოლებში კლასების გადატვირთულობაა - პედაგოგებს დიდ ჯგუფებთან უწევთ მუშაობა და კონცენტრაციის გადანაწილება, რაც



> ,, *ბავშვები დილიდან თითქმის დღის სამ საათამდე იმყოფებიან სკოლაში, მათ შორის ძალიან ბევრია სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებიდან და, შეიძლება ითქვას, უმეტეს შემთხვევაში, მშივრები არიან. შესაბამისად, სკოლამ უნდა უზრუნველყოს მათი ერთჯერადი კვება მაინც. თუ ბავშვი მშიერია, მისთვის განათლების პროცესი არ იქნება აქტუალური, პრიორიტეტული. შიმშილში მხოლოდ კუჭის შევსებას არ ვგულისხმობ...*

იხ. მე-7 გვ.

# ვისთვის იქნება უფასო პაპილომავირუსის ვაქცინა?

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

***ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს ოფისის და გაეროს მოსახლეობის ფონდის ინფორმაციით, პაპილომავირუსის ვაქცინა, რომელიც ქალებს საშვილოსნოს ყელის კიბოსგან იცავს, 26 წლამდე ასაკის ქალებისთვის უფასოდ იქნება ხელმისაწვდომი***



*საქართველოში კი აღნიშნული ვირუსის პრევენციისთვის შესაბამისი იმუნიზაცია მხოლოდ 18 წლამდე მოზარდებისთვისაა უფასო. რაკი ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ ზედა ზღვარი 26 წლამდე გაზარდა, შესაძლოა, სიახლე საქართველოშიც დაინერგოს. სხვა ასაკობრივი კატეგორიისთვის ვაქცინაცია ფასიანია და ის, დაახლოებით, 400 ლარი ჯდება. მოქალაქეების სურვილია, ჯანმოს ინიციატივა საქართველოზეც გავრცელდეს.*

*პაპილომავირუსის ვაქცინაციის პროგრამა საქართველოში 2019 წლიდან მოქმედებს. მიუხედავად იმისა, რომ მიმართვიანობა ყოველწლიურად იზრდება, მთლიანობაში, აცრის მსურველთა მაჩვენებელი არცთუ ისე მაღალია. ამ ეტაპზე გეგმური მონაცემი 50%-ს უტოლდება, ქმედითი შედეგის მისაღწევად კი განსაზღვრულ ასაკობრივ კატეგორიაში, საშუალოდ, 90-95% უნდა აიცრას.*

*აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის გადამდებ დაავადებათა ზედამხედველობის და იმუნოპროფილაქტიკის განყოფილების უფროსის* ***ნანა ჯინჭარაძის*** *თქმით, მოქალაქეები პაპილომავირუსისა და მისი პრევენციისთვის არსებული ვაქცინის შესახებ ინფორმაციას სრულყოფილად დღემდე არ ფლობენ.*

**- ქალბატონო ნანა, ვაქცინაციის პროგრამაში ჩართვის მსურველთა მაჩვენებელი როგორია?**

- 2022 წელს ბათუმში მაჩვენებელი 83%-მდე გაიზარდა, როცა ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით (2021 წელს - 40%). ისე, მცირე კონტინგენტის მქონე მუნიციპალიტეტებში, როგორიცაა ხულო, ქედა, შუახევი, ადრე საგანგაშოდ დაბალი მაჩვენებელი გვქონდა. წელს ყველგან, მათ შორის ბათუმშიც, მომართვიანობა პროფილაქტიკისთვის, ანუ ვაქცინაციისთვისაც, შედარებით გაზრდილია. ეს ეხება 10, 11 და 12 წლის გოგონებს. 2022 წლის იანვრიდან გაიზარდა ასაკობრივი ჯგუფიც. 13-დან 18 წლის ჩათვლით გოგონებს უფასოდ შეეძლოთ ჩაეტარებინათ ეს ვაქცინაცია. სამწუხაროდ, ამ ასაკის გოგონებში მომართვიანობა არ არის ისეთი მაღალი, როგორსაც ველოდით, ვფიქრობდით, რომ მოზარდები უფრო დაინტერესდებოდნენ.

**- რა უნდა გაკეთდეს კლინიკებში მიმართვიანობის გასაზრდელად?**

- ყველაზე კარგი ეფექტის მოტანა მაინც მედიას შეუძლია, ასევე, რეკლამებს და სმსების სახით მიწოდებულ ინფორმაციას მშობლებისთვის. ერთ-ერთი ფაქტორი, რამაც მაჩვენებლის ზრდა გამოიწვია, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ ყველა მშობლისთვის ინდივიდუალურად დაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინება გახდა. როცა ინფორმაცია მისწვდა მშობელს, მას ინტერესი გაუჩნდა, მოიკითხა მედპერსონალთან, რა ვაქცინაა, რა დაავადების წინააღმდეგ, რაზე „ეპატიჟებიან“. ამან ძალიან კარგად იმუშავა, რადგან ზოგიერთ მშობელს გაგონილიც არ ჰქონდა ამის შესახებ, ზოგს ვერც მედპერსონალმა მიაწვდინა ხმა. ქობულეთშიც კი, სადაც ძალიან დაბალი მაჩვენებელ გვქონდა, უკვე გააქტიურდნენ, მათ შორის სოფლებშიც. პაციენტთა მოზიდვის თვალსაზრისით, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, სამედიცინო პერსონალის გააქტიურებაცაა საჭირო. სოციალური მედიის საშუალებით ინფორმაციის მიწოდება უმნიშვნელოვანესია - რა ვაქცინაა, როგორია და როგორ მოქმედებს იგი სამომავლოდ... ეს აცრა რამდენიმე დოზით კეთდება, აჭარაში 600-მდე 13-18 წლის გოგონა მე-2 დოზით აიცრა, დიდი შუალედით, მაგრამ ვაქცინა დაკარგულად არ ითვლება. მიუხედავად გაზრდილი მომართვიანობისა, სამწუხაროდ, პაპილომაზე საქართველოს მასშტაბით 50%-იც არ არის აცრილი. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ანტივაქსერული კამპანიაა, რაც წლების განმავლობაში ამ და სხვა ვაქცინებთან მიმართებაში მიმდინარეობს. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ვაქცინა საქართველოში ერთი წლის შემოსული იყო, გავრცელდა მშობლებში ცრუ ინფორმაცია, რომ ეს იწვევს უშვილობას. ჩვენ ვიყავით 78-ე ქვეყანა, სადაც შემოვიდა „გარდასილი“ (ვაქცინა პაპილომავირუსების წინააღმდეგ) და არცერთ ქვეყანაში არ დაფიქსირებულა მსგავსი ფაქტი. მას არ აქვს არანაირი უკუჩვენება, ეს არ არის ცოცხალი ვაქცინა (ანუ არ შეიცავს ცოცხალ, დასუსტებულ მიკრობებს). ვცრით იმიტომ, რომ ანტისხეულები გამომუშავდეს. როდესაც ადამიანს პაპილომა ვირუსი შეხვდება, ორგანიზმი დასაწყისშივე, ძალიან მარტივად გაუმკლავდება მას, რომ არ დაიწყოს ვირუსმა გამრავლება, - ამბობს ნანა ჯინჭარაძე.

სტატისტიკის მიხედვით, საშვილოსნოს ყელის კიბო ქალთა ავთვისებიანი სიმსივნით გარდაცვალების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. გაეროს მონაცემებით, საქართველოში ყოველწლიურად 200 ქალი საშვილოსნოს ყელის კიბოს დიაგნოზით იღუპება, რაც ძირითად შემთხვევებში, პაპილომავირუსითაა გამოწვეული. იმისთვის, რომ საშიში ვირუსის პრევენცია მოხდეს, მეტი ინფორმირებულობა და იმუნიზაციის პროცესში საზოგადოების მაღალი ჩართულობაა აუცილებელი.

„მიუხედავად იმისა, რომ დაავადების თავიდან აცილება შესაძლებელია, ის მაინც მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ქვეყანაში, სადაც შემთხვევათა 40%-ზე მეტის გამოვლენა დაგვიანებულ (მე-3 ან მე-4) სტადიაზე ხდება. საშვილოსნოს ყელის კიბოს შემთხვევათა უმეტესობის პრევენცია შესაძლებელია ადამიანის პაპილომავირუსის ვაქცინით, ხოლო ადრეული გამოვლენისა და სათანადო მკურნალობის შემთხვევაში კი მისი განკურნებაც შესაძლებელია“, - აღნიშნულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განცხადებაში.

საქართველოში პაპილომა ვირუსის ვაქცინა ევროპული, კერძოდ, ბელგიური წარმოებისაა.

ამჟამად, უფასო ვაქცინაციის პროგრამის ფარგლებში, შესაძლებელია: 10-12 წლის ასაკობრივ ჯგუფში ორჯერადი ვაქცინაცია მინიმუმ 6 თვის ინტერვალით; 13-26 წლის ასაკობრივ ჯგუფში - სამჯერადი ვაქცინაცია შემდეგი სქემით: 0 - 2 - 6 თვე. პირველ და მეორე დოზას შორის მინიმალური ინტერვალი უნდა იყოს არანაკლებ 1 თვე, ხოლო მეორე და მესამე დოზას შორის - არანაკლებ 3 თვე.

## უკრაინა

ეს ბოროტება, ეს რუსული აგრესია შეიძლება და უნდა შეჩერდეს მხოლოდ ადეკვატური იარაღით. ტერორისტული სახელმწიფო სხვას ვერაფერს გაიგებს. იარაღი ბრძოლის ველზე. იარაღი, რომელიც იცავს ჩვენს ცას, - განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ, რითაც უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებულ კიდევ ერთ საჰაერო თავდასხმას გამოეხმაურა.„ჩვენ კიდევ უფრო მეტი უნდა ვიმუშაოთ, რათა შეიქმნას ტრიბუნალი უკრაინის წინააღმდეგ რუსული აგრესიის დანაშაულისთვის და ანაზღაურდეს ამ ომის შედეგად მიყენებული ყველა ზიანი რუსული აქტივების ხარჯზე. ყოველი რუსული რაკეტა ჩვენი ქალაქების წინააღმდეგ, ყოველი ირანული დრონი, რომელსაც ტერორისტები იყენებენ, არის არგუმენტი, რატომ გვჭირდება მეტი იარაღი. ტერორისტებს მხოლოდ იარაღი ანეიტრალებს“, - აღნიშნა ზელენსკიმ.

* * *

კანადა უკრაინას, უახლოეს მომავალში, Leopard 2-ის ტიპის 4 ტანკს გადასცემს, კანადელ სამხედროებს კი გაგზავნის იმისთვის, რომ ევროპის ქვეყნებს უკრაინელი სამხედროების მომზადებაში დაეხმარონ. კანადის თავდაცვის მინისტრ ანიტა ანანდის განცხადებით, მისი ქვეყანა უკრაინას ავღანეთის ომის დროს ნიდერლანდებიდან შეძენილ Leopard 2 A4-ის მოდელებს გაუგზავნის. შეგახსენებთ, პოლონეთმა განაცხადა, რომ რამდენიმე კვირაში უკრაინას Leopard 2-ის ტიპის 14 ტანკს მიაწვდის. გაერთიანებული სამეფო მარტის ბოლოს უკრაინას Challenger 2 ტიპის 14 ტანკს გადასცემს. გერმანიის თავდაცვის მინისტრმა ბორის პისტორიუსმა 26 იანვარს განაცხადა, რომ გერმანია გეგმავს მარტის ბოლომდე უკრაინას Leopard 2 საბრძოლო ტანკები მიაწოდოს შეერთებულმა შტატებმა კი უკრაინისთვის Abrams-ის 31 ტანკის გადაცემა დააანონსა.

* * *

ესტონეთმა გადაწყვიტა, უკრაინას ის კასეტური საბრძოლო მასალა გადასცეს, რომელიც ქვეყანამ მოითხოვა, თუმცა ამისათვის გერმანიამ უნდა დაუშვას მათი რეექსპორტი, - ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს. მათივე ცნობით, ტალინმა შესაბამისი თხოვნით ბერლინს უკვე მიმართა. „ესტონეთმა გადაწყვიტა, უკრაინას მიაწოდოს 155 მმ კალიბრის საარტილერიო საბრძოლო მასალა. არ მიმაჩნია საჭიროდ, ვისაუბრო ესტონეთისა და უკრაინის შეიარაღებულ ძალებს შორის დადებული ხელშეკრულებების დეტალებზე, კერძოდ, საბრძოლო მასალის რაოდენობასა და დიაპაზონზე. უკრაინა - კასეტური ბომბებით, მე აქ პრობლემას ვერ ვხედავ, რადგან ახლა ომის ორივე მხარე იყენებს ასეთ საბრძოლო მასალას უკრაინის ტერიტორიაზე“, - განაცხადა ესტონეთის თავდაცვის მინისტრმა ჰანო პევკურმა.

* * *

უკრაინის ენერგოსისტემამ თურქულ კომპანია Karpowership-თან გააფორმა ხელშეკრულება მცურავი ელექტროსადგურების გამოყენების შესახებ, რომლებიც უკრაინაში 1 მილიონი ოჯახის ელექტროენერგიით მიწოდებას უზრუნველყოფენ. მოლდოვასა და რუმინეთთან თანამშრომლობის ფარგლებში, ენერგომომარაგების ხომალდები ზემოხსენებული სახელმწიფოების შავი ზღვის სანაპიროებთან განთავსდება, საიდანაც მოხდება უკრაინის ენერგოსისტემის ელექტროენერგიით მომარაგება.

* * *

გერმანია უკრაინის შეიარაღებულ ძალებს 14 ერთეულ Leopard 26-ის ტიპის ტანკს მარტის ბოლოს მიაწვდის“ - ინფორმაციას გერმანიის თავდაცვის მინისტრი ბორის პისტორიუსი ავრცელებს. მისი თქმით, რამდენიმე დღეში დაიწყება უკრაინელი სამხედროების წვრთნაც. „უკრაინას მარტის ბოლოს აგრეთვე Challenger-2-ის ტიპის ტანკებს მაიწვდის ბრიტანეთიც“ - ინფორმაციას გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის ძალების შესყიდვების მინისტრი ალექს ჩალკი ავრცელებს. ძალიან მაგარი ამბავია, ბატონებო, არადა მიწოდების პერიოდად სახელდებოდა მაისის ბოლო პერიოდი, რაც ნიშნავს, რომ მაქსიმალურად მცირე დროში აპირებს ევროპა და აშშ, მიაწოდონ Leopard-2-ის, Challenger-2-ისა და Abrams m1-ის ტიპის ტანკები, ეს კი ცალსახად მიანიშნებს, რომ აპრილიდან უკრაინა ბრიგადის დონის სატანკო მუშტს (მინიმუმ - 150 ტანკი) შეკრავს ევროპა ამერიკის მიერ მიწოდებული ტანკებისგან + ასეულობით ქვეითთა საბრძოლო მანქანას (Bradley M2a2; Marder; Cv-90), ჯავშანტრანსპორტიორს და თვითმავალ საარტილერიო დანადგარს მიიღებს, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანი იქნება წარმატებული ვრცელი კონტრშეტევისთვის. უკრაინის შეიარაღებულ ძალებს დიდი შეტევის წინ, სავარაუდოდ, მწყობრში ექნება 700-800 ტანკი, რაშიც დასავლურებთან ერთად მოიაზრება უკრაინის შეიარაღებაში ამჟამად არსებული სხვადასხვა ტიპის ტანკები.

**მოამზადა**
**ნაირა ფუტკარაძემ**

## „მრავალი თაობის ისტორიული მიზანი ძალიან ახლოსაა ასრულებასთან“



პარტია „გირჩი - მეტი თავისუფლების“ წევრ ცოტნე კობერიძის ბრალდებებს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე თბილისის საკრებულოში მიმდინარე სხდომაზე გამოეპასუხა. მისი თქმით, „ქართული ოცნების“ პირობებში დაიწყო უვიზო მიმოსვლა ევროკავშირთან, მივიღეთ თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირსა და საქართველოს შორის, გაღრმავებული პარტნიორობა - ნატოსთან, ორპარტიული მხარდაჭერა - სტრატეგიულ პარტნიორ ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან.

„მრავალი თაობის ისტორიული მიზანი ძალიან ახლოსაა ასრულებასთან. მივიღეთ პერსპექტივა ევროკავშირიდან და ველოდებით კანდიდატის სტატუსის მიღებას. საქართველო არის მოწინავე ქვეყანა იმ ქვეყნების რიგში, რომელმაც ყველაზე მეტი ჰუმანიტარული დახმარება გაუწია ჩვენს მოძმე უკრაინელ ხალხს. ამავე დროს, თუკი ქვეყანაში კიდევ ერთი ომი დაიწყებოდა, თქვენ და თქვენი პარტიის ლიდერებს, თქვენი პარტნიორი პარტიების წევრებს ისევ საზღვართან და ხიდებთან გნახავდით“, - განაცხადა გიორგი ჩაკვეტაძემ. მან ასევე ხაზი გაუსვა ეკონომიკური მაჩვენებლის მატებას და საქართველოს, როგორც ენერგეტიკული დერეფნის, მნიშვნელობას.

„ამ ყველაფრის შედეგია ისიც, რომ დღეს საკრებულოს სხდომაზე განვიხილავთ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) „თბილისის მეტროს მოდერნიზაციის“ პროექტის მხარდაჭერას, რაც იქნება მნიშვნელოვანი და ისტორიული თბილისისთვის“, - აღნიშნა დასასრულ გიორგი ჩაკვეტაძემ.

**ამირან გურიელიძე**

## ჯო ბაიდენს სურს უკრაინაში ჩასვლა, მაგრამ...



თეთრი სახლის სტრატეგიული კომუნიკაციების კოორდინატორმა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, ჯონ კირბიმ CNN-თან ინტერვიუში ბაიდენის უკრაინაში შესაძლო ჩასვლასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ „პრეზიდენტს, რა თქმა უნდა, შესაბამის დროს ენდომება ამის გაკეთება. მაგრამ ახლა ის მომენტი არ არის“.

მან ასევე აღნიშნა, რომ აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი მჭიდრო კონტაქტს ინარჩუნებს უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკისთან და ისინი „საკმაოდ ხშირად“ საუბრობენ.

„კიდევ ერთხელ - ჩვენ კონცენტრირებული ვართ იმაზე, რომ უკრაინა შეიარაღებით მოვამარაგოთ“, - აღნიშნა კირბიმ.

**ამირან გურიელიძე**

# 38 წელი - კულტურის სახლის დირექტორად

***გივი ბოლქვაძე წყალსაყრის თემში პირველი იყო, რომელმაც ხაბელაშვილების საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ბათუმის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში მუსიკალური განათლება მიიღო და მთას დაუბრუნდა***

- ჭვანა ფოლკლორის სავანეა. მე როცა მუშაობას შევუდექი, ალი მახარაძეს, მამია ჭაღალიძეს, ხასან შარაშიძეს, მუხამედ ართმელაძეს, დავით ტაკიძეს, დავით შარაშიძეს საზოგადოება უკვე კარგად იცნობდა, თუმცა, ჩვენი ჩარევით, მუხამედ ართმელაძის «განდაგანა» კიდევ უფრო დაიხვეწა. მაშინ დაინტერესდნენ მისი ილეთებით ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი. ინწკირვეთის გოგონათა ანსამბლს სათავეში ნანული ჭაღალიძე ჩაუდგა. მისი დამსახურება იყო, რომ გოგონები გალათასარაის საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატები გახდნენ, - იხსენებს გივი.

გასული საუკუნის 80-იან წლებში აჭარული ფოლკლორით, ადგილობრივ სიმღერებში უხუცესების ჩართულობით, იაპონელი მკვლევარები დაინტერესდნენ. გივის იმ ხანად ხაბელაშვილების კულტურის სახლთან უხუცესთა ვოკალური ჯგუფი ჰქონდა ჩამოყალიბებული. რეპერტუარით, მომღერლების საშემსრულებლო ოსტატობით იაპონელები მოიხიბლნენ და ომერ, მუხამედ ართმელაძეების, რესულ, იუსუფ, ქესკინ ჭაღალიძეების, ილიას ბერიძის, ზურაბ ირემაძის სიმღერები ჩაიწერეს და იაპონიაში წაიღეს.

გივი ბოლქვაძის, როგორც კულტურის სახლის დირექტორის, მუშაობას მაღალ შეფასებას აძლევდნენ ისეთი ხელოვანები, როგორებიც ანზორ ერქომაიშვილი, ზაურ ლაზიშვილი, ენვერ ხაბაძე, იოსებ ბარდანაშვილი, ფატმა კობალაძე იყვნენ. ამ აღიარების საპასუხოდ, გივიმ სამოქმედო არეალი გააფართოვა, ფოლკლორულ საღამოებში ადგილობრივების ჩართვას უპირატესობა მიანიჭა.



ორი ქალიშვილისა და ორი ვაჟის მამამ, ფოლკლორი შვილებსაც შეაყვარა. ახალდაბასა და ცხემლისში, მუსიკალურ ოჯახებში არიან გათხოვილი ქალიშვილები. ეთერი ცხემლისელი მჟავანაძეების რძალია. მისი მამამთილი დავით მჟავანაძე ცნობილი მოცეკვავეა. «განდაგანას» თავისებური ილეთებით შემსრულებელი, 10-მდე რესპუბლიკური და საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი გახლდათ. ნინო ახალდაბელი ზოიძეების რძალია, სადაც მუსიკის ნიჭი ყველას მომადლებული აქვს.

ავთენტურ ანსამბლ «ჭვანას» სულისჩამდგმელი და სამხატვრო ხელმძღვანელია გივის უფროსი ვაჟი ტარიელი. დროის მოკლე მონაკვეთში ანსამბლის ხელოვნებას თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზსა და ბათუმის მუსიკალურ ცენტრში გაეცნო მაყურებელი, სადაც «ერთი ხეობის ფოლკლორის» საღამოები გაიმართა.

გივისა და მისი ოჯახის დამსახურებაა, რომ სოფელ ხაბელაშვილების ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულის დიდი ნაწილი ეთნოგრაფიულ მუზეუმს აქვს დათმობილი. ტარიელმა და გივიმ ჭვანის ხეობის სოფლები კარდაკარ ჩამოიარეს და ოჯახებში გადანახულ უნიკალურ ექსპონატებს მუზეუმში მოუყარეს თავი.

- შუახევის კულტურის სისტემაში გატარებული რეფორმების შემდეგ, სოფლად არსებული კულტურის სახლები და სასოფლო კლუბები ხელის ერთი მოსმით გააუქმეს. აღარავინ დაინტერესებულა მომსახურე პერსონალის ბედით, კულტურის სახლებთან არსებული ვოკალური და ქორეოგრაფიული ჯგუფების, აგიტმხატვრული ბრიგადების მუშაობით. ავთენტურ ანსამბლ «ჭვანას» ჩამოყალიბებაში წვლილი მეც მიმიძღვის. დროის მოკლე მონაკვეთში ტარიელმა და ანსამბლის დანარჩენმა წევრებმა მაქსიმუმი გააკეთეს და ეროვნულ ფოლკლორს კარგ შენაძენს უტოვებენ.

ასაკის მიუხედავად, გივი სამსახურს ვერ ელევა. იგი ეთნოგრაფიული მუზეუმის სპეციალისტია. ამბობს, რომ ყველაზე მეტი დამთვალიერებელი მუზეუმს შარშან ჰყავდა. მისთვისაც განსაკუთრებული იყო გასული წელი. მრავალ მონაგარს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის ლაურეატობა შეემატა.

- ერთ-ერთი ნომინაცია ჩონგურზე მელოდიების შესრულება იყო. ტარიელსა და მეც ეროვნულ მელოდიებთან ერთად, აღმოსავლურის შესრულებაც გვქონდა განზრახული, მაგრამ ჟიურიმ მხოლოდ ეროვნულის გამოტანის ნება დაგვრთო. ლაურეატის დიპლომი საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრმა თეა წულუკიანმა მომილოცა, 70 წლის ხელოვანს კიდევ ერთი დაუვიწყარი დღე მაჩუქა.

გივი და მისი შვილები მარტო ხელოვნებისადმი ტრფიალით როდი გამოირჩევიან. მათი ინიციატივით, სოფელში მუსიკალური ინსტრუმენტების დასამზადებელი საწარმო მოეწყო. დღეს ხაბელაშვილებში დამზადებულ დოლებს, ფანდურებს, ჩონგურებს დიდი მოწონება აქვს. გივი სათუთად ინახავს იმ ჩონგურს, რომელზეც მელოდიებს ჭვანის ხეობაში განთქმული სახალხო მთქმელი და მომღერალი თოფია ქათამაძე ასრულებდა.

- 37 წელი ერთად მოვდიოდით მე და ჩემი მეუღლე ვარდო ბერიძე. იგი 12 წლის წინ გარდაიცვალა. ზამთრის გრძელ ღამეებში შვილებთან ერთად ცეკვა-სიმღერით ვერთობოდით. ახლა ტრადიციას ტარიელი, რძალი და შვილიშვილები აგრძელებენ. შვილიშვილები იზა და ლაშა ბოლქვაძეები ცეკვისა და სიმღერის ნიჭით არიან დაჯილდოებულნი, - გვითხრა გივიმ.

ხაბელაშვილებელმა ბოლქვაძეებმა ბიზნესსაც აუღეს ალღო. ტარიელი «აწარმოე საქართველოს» თანადაფინანსების პროგრამაში ჩაერთო და 29 ათასი ლარი გრანტი მოიპოვა. არსებულ საცხოვრებელ სახლს 10-საწოლიანი კოტეჯი მიუმატა და საოჯახო სასტუმრო «ვოისა» მოაწყო. მის გახსნაზე შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს კომისიის თავმჯდომარე ფრიდონ ფუტკარაძე, შუახევის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი წყალსაყრის ადმინისტრაციულ ერთეულში სულიკო ბოლქვაძე მოიპატიჟეს.

- სასტუმრო «ვოისა», რომელიც თანამედროვე მოთხოვნებს აკმაყოფილებს, ჭვანის ხეობაში პირველია. იგი წელიწადის ოთხივე დროს იმუშავებს და უცხოელი და ადგილობრივი ვიზიტიორების დასვენების, თუნდაც მუსიკალური გართობის შესანიშნავ ობიექტად იქცევა, - თქვა ომარ ტაკიძემ.

ჭვანის ხეობაში 10 მილიონ ლარზე მეტია მობილიზებული ტერიტორიული ობიექტების მოწყობა-განვითარებისთვის. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსში მალე გამარჯვებული კომპანიაც გამოვლინდება. გივის ოჯახი პირველია, რომელმაც ტურისტული ობიექტი მოაწყო.

# სამშობლოსაც, ერთხელ არჩეულ საქმესაც სიცოცხლის ბოლომდე ერთგულა

***ქვეყანასა და ქართულ ადათწესებზე მშობლიური ხულოს განვითარებასა და კეთილდღეობაზე მზრუნველებს - არჩილ ბოლქვაძეს, თემურ აბაშიძეს, ნოდარ, თემურ მემედის ძე, თემურ იშადის ძე ბოლქვაძეებს, ნოდარ თავართქილაძეს, ასლან მიქელაძეს, გივი აბულაძეს, თამაზ ირემაძეს, ეთერ აბულაძეს, გალინა რიჟვაძეს, ემზარ ძირკვაძეს იმიერ ქვეყანაში ერთი ღირსეული ხულოელი სულიკო თავართქილაძე შეემატა***

არიან ადამიანები, რომლებიც სამშობლოს, ოჯახის მსგავსად, ერთხელ არჩეულ საქმეს სიცოცხლის ბოლო დღემდე ერთგულობენ. რჩეულთა ხვედრია, რომ მთელი შეგნებული ცხოვრება მთაში ქართული თეატრის მომავალს, მის წარმატებებს დაუკავშირო, 60 წელზე მეტი გაატარო მის სამსახურში. მან ამ თეატრში მოღვაწეობა პატარა როლით დაიწყო და სამხატვრო ხელმძღვანელობამდე მივიდა, შემდეგ კი «საპატიო თეატრალის» ტიტული მიაკუთვნეს. უმთავრესი კი ის არის, რომ ამ დიდმა ადამიანმა, დამოუკიდებელი საქართველოს მეხოტბემ, წინა საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ყველაფერი - შესაძლებელიც და შეუძლებელიც გააკეთა, რათა მაშინდელი სახალხო თეატრისთვის სახელმწიფო დრამატული თეატრის სტატუსი დაებრუნებინა. ძალა და უნარი არ დაიშურა, რომ ხულოს თეატრისთვის ცნობილი ხულოელის, ქართული კინოსა და თეატრის უბადლო მოღვაწის იუსუფ ზოიძის სახელი მიენიჭებინათ.

წინა საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში მოპოვებული სახელმწიფო თეატრის სტატუსი 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში «ერთიანი ნაციონალური მოძრაობის» წარმომადგენლებმა ისევ გაუქმების საშიშროების წინაშე დააყენეს. სამხატვრო ხელმძღვანელმა სულიკო თავართქილაძემ ამჯერადაც «რკინის ქალამნები» მოირგო, ყველას ხმა მიაწვდინა და ხულოში დრამატული თეატრისთვის სახელმწიფო თეატრის სტატუსის გაუქმება გადააფიქრებინა.



სიტყვა და საქმე ქვეყნის ერთიანობასა და დამოუკიდებლობაზე, საქართველოს გაერთიანებაზე რომ მიდგებოდა, მაშინაც ურყევი და პრინციპული გახლდათ. საზოგადოებას კარგად ახსოვს მისი გამოსვლები თბილისში, ბათუმში, თუნდაც ხულოში გამართულ მიტინგებზე, სადაც გაწონასწორებული, მიუკერძოებელი სიტყვით დაამახსოვრა ყველას თავი.

ქართულმა თეატრალურმა საზოგადოებამ, გამოჩენილმა თეატრალებმა ხულო, აქ არსებული თეატრი რომ გაიცნეს და გაითავისეს, ეთერ დეკანაძის, სულიკო თავართქილაძის, ასევე ანზორ ბოლქვაძის დამსახურებაა. ესენი რომ არა, რეზო და თემურ ჩხეიძეების, ლია ელიავას, რობერტ სტურუას, გოგი ქავთარაძის, მურმან ჯინორიას, ლეო ანთაძის, რამაზ ჩხიკვაძის, გურამ საღარაძის, ვახტანგ ნინუას, მედეა ჯაფარიძის, გიორგი გეგეჭკორის, ელენე ყიფშიძის, ირაკლი უჩანეიშვილის შემოქმედებას ვერ ეზიარებოდა ხულოს თეატრი და აქაური მაყურებელი.

სულიკო თავართქილაძე ხულოში ჩამოსული სტუმრის ერთგული მასპინძელი, ქართული ოჯახის სამაგალითო წინამძღოლი და მთაში შემონახული ადათ-წესების ქომაგ-დამცველი, ცხოვრებაში გამტარებელი გახლდათ.

სიმბოლური იყო, რომ უფლის ნებით, სულიკო თავართქილაძის სული ზეცაში ქართული თეატრის დღეს გაფრინდა. მისი სადარი ადამიანები არ კვდებიან, ისინი წუთისოფელში ღირსეულ სახელს იმკვიდრებენ.

# თანამშრომლობას წელსაც გააგრძელებენ

***რამდენიმე წელია, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), ერთობლივი დაფინანსებით, ქედის მუნიციპალიტეტში ცალკეულ პროექტებს ახორციელებს. მათი ინიციატივით სათავე დაედო წარმომადგენლობით ბიუჯეტს, რომელიც ახლა სხვა მუნიციპალიტეტებში გავრცელებას იწყებს***

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილე ოთარ დიასამიძე ამ საქმიანობის უკეთ წარმართვის მიზნით GIZ-ის წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრაზე საერთაშორროსო ორგანიზაციასთან ერთად განხორციელებული პროექტები განიხილეს და თანამშრომლობის ახალ პერსპექტივებზე ისაუბრეს.

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება 2020 წლიდან, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, ურბანული მობილობის პროგრამას ახორციელებს „Mobility4Cities“ პროექტის ფარგლებში. GIZ-ის წარმომადგენლებმა მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებთან ერთად საზოგადოებრივი ტრანსპორტის ტექნიკური მხარდაჭერის კუთხით თანამშრომლობაზე ისაუბრეს.



ორგანიზაციამ აჭარის მუნიციპალიტეტებთან ახალი პროექტების დაწყების მზაობა გამოთქვა.

შეხვედრას ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე, აჭარაში არსებული მუნიციპალიტეტების მერების პირველი მოადგილეები, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი არჩილ სირაბიძე და სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

**გვერდი მოამზადა ოთარ ცინარიძემ**

ჩანახატი

# ვის ადარდებს მოხუცები, რომლებიც მტრედებივით გაფრინდებიან...

**ნანა აბულაძე 577 20 35 90**

- ყველაფერი გაძვირდა, ვერაფერს ვყიდულობ, ბაბუ, ეს სამართალია?! პენსია წამლებისთვის არ მყოფნის, შვილებიც რამდენჯერ შევაწუხო? მერიდება, - მითხრა მოხუცმა, რომელიც ხილ-ბოსტნეულის მაღაზიაში ნახევარ კილო ვაშლს ყიდულობდა. - ბაბუ, თუ შეიძლება, მე გიყიდით ხილს,- ვთხოვე მორიდებით, მაგრამ უარი მითხრა. - ბაბუ, არ ვარ მიჩვეული დახმარებას და ნუ გამათამამებ, - აქ ღიმილი აუკიაფდა სახეზე და დასძინა, - ვინმე ჩემზე გაჭირვებულს მიეცი ეგ თანხა, უფრო ხელგაწვდილი ბავშვები მეცოდებიან, გამვლელებს რომ მოწყალებას სთხოვენ და გემრიელი საჭმლის გემო დაავიწყდათ...



მოვდიოდი და ვფიქრობდი მოხუცების გაუსაძლის ყოფაზე ჩვენს ქვეყანაში, მოხუცებზე, რომლებიც, ცხოვრებისგან დაღლილები, სიკვდილს უხმობენ, სჯერათ, რომ სადღაც არსებობს სხვა სამყარო, სადაც ყველა სურვილს აისრულებენ, სადაც უფრო დაფასებულად და ღირსეულად იგრძნობენ თავს... ჰოდა, სთხოვენ უფალს წასვლას ყველასგან მიტოვებულნი, ცრემლებმორეულნი, ბავშვურღიმილშემორჩენილნი...

შავებში ჩაცმულ ბებოს, რომელიც ჭავჭავაძის ქუჩაზე ჩუმად ზის, ხშირად ჩავუვლი ხოლმე, მხოლოდ გვერდით დადებული პატარა ხის ყუთი მიგახვედრებთ, რომ მოწყალებას ითხოვს.

- თქმაც მრცხვენია, ფული მომეცითმეთქი, მაგრამ გარეთ რომ არ გამოვიდე, მშივრები დავრჩებით მე და ჩემი ლოგინად ჩავარდნილი მეუღლე. ერთი შვილი გვყავს, თურქეთში წავიდა სამუშაოდ, მაგრამ დიდი ხანია არ ჩამოსულა. ტელეფონზეც იშვიათად გვირეკავს. დავრჩით მე და ჩემი ქმარი ბედის ანაბარა. პენსია რაში უნდა გეყოს ადამიანს? ქვეყანას არ ვადარდებთ მოხუცები, არავინაა ჩვენი მომკითხველი. ღმერთს ვეხვეწები, იმდენად ჯანმრთელი მაინც ვიყო, პურის ფული გამოვიმუშაო. ეს რომ აღარ შემეძლება, იმ დღიდან წამიყვანოს, არ მინდა ვინმეს მოსავლელი გავხდე, - მითხრა და ცრემლები ვერ შეიკავა. ვთხოვე, ნება მოეცა, ჩავხუტებოდი. - რას ამბობ, შვილო, თუ მიკადრებ ამ მოხუცს, ჩამეხუტე, იცი, როგორ მენატრება ჩახუტება?

ჩავეხუტე და გავთბი, ჩამეხუტა და გათბა, თითქოს ერთმანეთის სიცარიელეები ამოვავსეთ... თითქოს მალამოსავით დავედეთ ერთმანეთის სევდებს...

- ბედნიერი იყავი, შვილო, და გახსოვდეს, სიკეთე არასოდეს იკარგება!

- რა თქმა უნდა, არ იკარგება, - ვჩურჩულებდი, ვცდილობდი, ჩქარი ნაბიჯებით მევლო, მაგრამ ვგრძნობდი, რომ სიმძიმისგან ფეხის გადადგმა მიჭირდა... ასე მეგონა, იმ წუთში მთელი სამყაროს მოხუცების ტვირთი მელაგა მხრებზე და სადაცაა დავეცემოდი, მიწად ვიქცეოდი.

- იცით, რომ ქართული ენა ესმით?

- ვის, ბაბუ, მტრედებს?

- კი, კი, მტრედებს, - მიპასუხა და მტრედებისათვის საკენკის დაყრა განაგრძო, რომლებსაც მის გარშემო წრე შეეკრათ და თითქოს მტრისგან იცავენო, ისე ეხვეოდნენ თავზე...

- ნეტა, რამდენი არიან?

- 64, - მიპასუხა.

გაკვირვებისგან ხმა ჩამივარდა...

- მტრედებს ითვლით?

- კი, ბაბუ, ყველა მათგანს ვცნობ, ხომ გითხარი, მესაუბრებიან ქართულად-მეთქი, - ეს მითხრა და წითელფეხება მტრედების ჯარს შეერია...

ვფიქრობდი, ისეთი კეთილია, ალბათ ამათთან ერთად გაფრინდება-მეთქი და შევცქეროდი კადრს, როგორ უნაწილებდა სულმზიანი მოხუცი მტრედებს თავის წილ პურს, უფრო სწორად 64 მტრედს... იქნებ მომატყუა, ნუთუ მართლა ითვლის მტრედებს? შეიძლება ითვლის კიდეც, იქნებ მართლა იციან მტრედებმა მოხუცის ენა, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს მათთან ერთად გაფრინდება ცაში... მოხუცების ბედი მძიმეა, მოხუცები აღარ სჭირდებათ, მოხუცებზე აღარ დარდობენ, მოხუცები მიატოვეს და უთხრეს, მტრედებთან ერთად გაფრენილიყვნენ...

მიყვარხარ ბებო, მიყვარხარ ბაბუ, ვუმეორებ ყოველდღე ყველა მოხუცს, ვისაც ქუჩაში ვხედავ, შეიძლება თქვენც იგივეს აკეთებთ, მაგრამ ჩვენი სიყვარული ვერ აპურებს მათ, ისევ მხვდებიან, ისევ მიღიმიან, ისევ ტირიან, ისევ წუხან და გადის დრო, სიკვდილამდე გადასაგორებელი დრო...

# უმუშევრები არიან, სამუშაოს მაძიებლები კი... არა (?!)

რესტორატორთა ასოციაციის ხელმძღვანელმა შოთა ბურჯანაძემ მედიაცენტრ „მთავარში“ თქვა, რომ საქართველოში შრომისუნარიანი ადამიანების დიდი უმრავლესობა უმუშევარია, მაგრამ... სამსახურის მაძიებლები არ არიან.



როგორც მან აღნიშნა, ქართულ შრომის ბაზარზე პანდემიის შემდეგ კადრების დიდი დეფიციტია. პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას ჰორეკა სექტორში.

„საქართველო ხშირად გამოირჩევა პარადოქსებით, ახლაც ეს ხდება. არის ვაკანსიები, არის სამუშაო ძალა და პარალელურად არის ძალიან დიდი უმუშევრობა. ასევე, ძალიან დიდი მიგრაცია ქვეყნიდან. ეს უნდა დავყოთ ასპექტებად, ვერ გავაერთიანებთ ერთ პრობლემად. ადამიანები მიდიან, რომ ახალი ასპარეზი ნახონ და ეს ბუნებრივია, რადგან ყველა ემიგრანტი ხშირად აბრუნებს თანხას ქვეყანაში. მეტწილად ამ ქართველების მიერაა საქართველოს ეკონომიკური განვითარება შექმნილი.

აქ არის მეორე პრობლემა, მუშახელს, რომელიც ქვეყნიდან გადის, სჭირდება ჩანაცვლება. შრომისუნარიანი ადამიანების დიდი უმრავლესობა უმუშევრები არიან და შრომის მაძიებლები არ არიან. გზავნიან სივებს, ამით იღებენ სიამოვნებას და კერძო სექტორის გამოხმაურების შემდეგ წყდება ინტერაქცია. ეს, ძირითადად, არის ხალხი, რომელიც ემიგრანტების გამოგზავნილი ფულის კმაყოფაზე არიან. შესაბამისად, ქართული შრომის ბაზრის პირობები მათთვის მიუღებელია“, - განაცხადა ბურჯანაძემ.

მისივე თქმით, გამოსავალი მოსახლეობის ზრდა, საქართველოში ჩამოსული ემიგრანტები და პროფესიული სასწავლებლების სწორი კურსით განვითარებაა.

**ამირან გურიელიძე**

# „სკოლა უნდა დასრულდეს სკოლაში“

## როგორი სასკოლო გარემო სურთ ბავშვებს... და არამარტო

მე-4 გვერდიდან

მეტად რთულია. ზოგადად, ბავშვების რაოდენობა კლასში უნდა იყოს მაქსიმუმ 18, ეს არის მსოფლიო განათლების სისტემებში დადგენილი რაოდენობა. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ბავშვთა ფსიქოლოგიური, ემოციური და სოციალური თავისებურებები - ასაკის მიხედვით. პირველი ეტაპი გამოიყოფა მეექვსე, მეშვიდე კლასამდე, მეორე ეტაპი - მეცხრე კლასამდე, ძირითადად, მეცხრე კლასში ხდება „მე“ კონცეფციის ჩამოყალიბება, ბავშვებში მოზარდობის ხანა დგება, რაც მათში დიდ ცვლილებებს იწვევს. შეიძლება ითქვას, ეს მძიმე პერიოდია, იწყება ემოციების გაუხეშებაც, გარკვეული კონფლიქტებიც. ამ დროს მნიშვნელოვანია მოსწავლე აღვიქვათ როგორც თანასწორი, პიროვნება. პედაგოგი მას ისე უნდა ელაპარაკოს, როგორც დიდ ადამიანს. მათ ჭკუის სწავლება ნაკლებად მოსწონთ ამ პერიოდში. პიროვნებაზე ორიენტირებული დიალოგით შეიძლება მივაღწიოთ შედეგს. მიმაჩნია, რომ სკოლაში ინდივიდუალური გასაუბრების კულტურაა დასანერგი და ამოსაღებია მშობელთა კრებების საბჭოური, კომუნისტური გადმონაშთი, რომელიც, ვფიქრობ, ნაკლებად ეფექტურია და რაიმე განსაკუთრებულ დადებით შედეგს არ გვაძლევს. აქვე მინდა შევეხო კიდევ ერთ საკითხს - საშინაო დავალებების კულტურას, რომელიც მძიმე სტრესს მოიცავს. ეს უნდა იყოს ნებაყოფლობითი, არ უნდა ჰქონდეს მოთხოვნის და აუცილებლობის სახე. არიან ბავშვები, ვისაც შეუძლია დამოუკიდებლად მუშაობა, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებსაც სკოლის შემდეგ მათი პიროვნული ცხოვრების მენეჯმენტი დატვირთული აქვთ სხვადასხვა აქტივობით. ამ ყველაფრის შემდეგ, სახლში რომ ბრუნდებიან, თავიდან უწევთ სავარჯიშოებზე მუშაობა. ფაქტობრივად, სკოლა არასდროს სრულდება, რასაც მძიმედ ეგუება ბავშვი. საშინაო დავალებების შესრულების ნებაყოფლობითად გადაქცევამ ძალიან დიდი და დადებითი შედეგები შეიძლება მოგვცეს - შემცირდება სტრესი, დალაგდება ურთიერთობები მშობლებსა და შვილებს შორის, ასევე პედაგოგებთანაც, ანუ სკოლა უნდა დასრულდეს სკოლაში, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი. მიმაჩნია, რომ საგანმანათლებლო პროცესი, სასწავლო დინამიკა თუ ტრაექტორია უნდა იმართებოდეს მოსწავლეთა, პედაგოგთა და სხვა სპეციალისტთა შერეული თვითმმართველობის მიერ, რომლის მთავარი სამუშაო იქნება ბავშვების კრიზისული სიტუაციების მართვა. იგი ორიენტირებული იქნება ბავშვთა განვითარებაზე, მხარს დაუჭერს და იზრუნებს სკოლაში თითოეული მოსწავლის უფლების დაცვაზე. აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ საგანმანათლებლო პროცესს დაემატოს ფსიქიკური ჯანმრთელობის გაკვეთილები, სქესობრივი აღზრდის, ფინანსთა და ბიზნესსაკითხებთან დაკავშირებული საგნები. სკოლებში უნდა გაუქმდეს ქულით შეფასების სისტემა. მეექვსე კლასამდე საგაკვეთილო პროცესი ორიენტირებული უნდა იყოს თამაშით სწავლებაზე, მეცხრე კლასიდან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს პროფესიული ორიენტაციის საკითხებს. სასკოლო ზეიმებსა თუ შემოქმედებითი ხასიათის აქტივობებში ჩართვა უნდა იყოს ნებაყოფლობითი, საკანონმდებლო სივრცეში მოწესრიგდეს გაკვეთილის თეორიული და პრაქტიკული სინთეზირება. ნახევარი დრო დაეთმოს თეორიას, ნახევარი დრო - პრაქტიკას. აიკრძალოს წიგნების და სხვა საკანცელარიო ნივთების ტარება ზურგჩანთებით, თითოეული სკოლა აღჭურვილი, მოწესრიგებული უნდა იყოს ბიბლიოთეკით და საკითხავი დარბაზით, სკოლებში გამოიყოს სარელაქსაციო და განტვირთვის ოთახი. თითოეული საგნის შინაარსობრივი დატვირთვის შესაბამისად მოწესრიგდეს ოთახების გარემო. ეს ის ჩამონათვალია, რომელთა რეალობაში გადმოტანა ბავშვებისთვის სკოლას აქცევს ყველაზე სასურველ სივრცედ, სადაც თავს ბედნიერად და დაცულად იგრძნობენ, - განაცხადა ზურაბ ქარჩავამ.

> *„მინდა შევეხო კიდევ ერთ საკითხს - საშინაო დავალებების კულტურას, რომელიც მძიმე სტრესს მოიცავს. ეს უნდა იყოს ნებაყოფლობითი, არ უნდა ჰქონდეს მოთხოვნის და აუცილებლობის სახე*

ჩვენმა რესპონდენტებმა არაერთ მნიშვნელოვან კომპონენტზე გაამახვილეს ყურადღება, მაგრამ ერთ-ერთ მთავარ საკითხად, რომელიც სახელმწიფომ დროულად უნდა გადაჭრას, მაინც სასკოლო კვება მიაჩნიათ. სოციალურად დაუცველია თუ არა ბავშვი, კვება ყველა მათგანისთვის აუცილებელია და იგი უნდა იყოს უფასო. კვება პირდაპირპროპორციულად აისახება მათ აკადემიურ შედეგებზე.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 27/01/23, 21 25 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# „ჯერ კიდევ არ არის გვიან, – ავიხდინო ოცნებები“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

*მომღერალ **თეო ჩიტიშვილს** ბათუმელები მუსიკალურ ჯგუფ „ვანილა ქეიჯიდან“ იცნობენ. თეო წლებია, თავის მეუღლესთან და შვილთან ერთად საფრანგეთში ცხოვრობს. ერთ-ერთ კოლეჯში სასწავლო ნაწილის ასისტენტად მუშაობს. ასევე, ჩამოაყალიბა როკ გუნდი - „Rock Goundi“, ჰყავს მოსწავლეებიც, რომლებსაც პიანინოზე დაკვრასა და ვოკალში ამეცადინებს. პარალელურად მეტალ ბენდში „Koudeta“ მღერის.*

*დღეს თეოს ბლიცინტერვიუს გთავაზობთ.*

**დავიბადე** - ბათუმში, 1989 წლის თებერვალში.

**მინდოდა ვყოფილიყავი** - ცნობილი მსახიობი ან მომღერალი.

**ყველაზე დიდი წარმატება** - მსოფლიოში ყველაზე დიდ როკ-ფესტივალზე - Hellfest-ზე გამოსვლა.

**ყველაზე დიდი იმედგაცრუება** - არ მახსენდება.

**რა არის თქვენთვის ხელოვნება** - ის, რაც აფერადებს სამყაროს.

**რომელი მუსიკოსია თქვენთან ყველაზე ახლოს** - ახლოს არ ვიცი, მაგრამ ყველაზე საყვარელი მუსიკოსი დევიდ გილმორია.

**რას ურჩევთ დამწყებ მომღერლებს** - შემართებას, მიუხედავად ბევრი მარცხისა, არდანებებას და საკუთარი თავის დიდ რწმენას.

**აღწერეთ საფრანგეთი სამი სიტყვით** - თავისუფლება, სილამაზე და სიძლიერე.



**მენატრება** - ჩემი ოჯახი.

**მწყინს** - საყვარელი ადამიანისგან - ყველაფერი.

**მიხარია** - ცხოვრება.

**მინანია** - ლოტოს თამაშისას ჩემი შვილის მიერ შევსებული ციფრების გადაკეთება.

**მჯერა** - მომავლის.

**ცხოვრებაში მთავარია** - ჯანმრთელობა.

**უნარი, რომელსაც მინდა ვფლობდე** - ტელეპორტაცია.

**დედამიწას სიყვარული ატრიალებს?** - არამარტო, განათლება და ინტელექტიც!

**ბავშვობა არის** - ის, რასაც ვერასდროს დავიბრუნებთ.

**საქართველო არის** - მებრძოლი და სიყვარულით სავსე ქვეყანა.

**ჯერ კიდევ არ არის გვიან** - ავიხდინო ოცნებები.

**უახლოესი გეგმა და მიზანი** - მასშტაბური „როკ გუნდის“ კონცერტის გამართვა.



# „ჩემმა ხელებმა სულ უნდა იმუშაოს“, ანუ ძალიან საჭირო ადამიანები

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

***არიან ადამიანები, რომელთა საქმიანობა თითქოს შეუმჩნეველია, მაგრამ ძალიან საჭირო და ღირებულია. ამაზე ერთხელ კიდევ დავფიქრდი, როცა წყლის გამათბობელი გამიფუჭდა და ხელოსანი დამჭირდა***

აჭარის ტელევიზიის გადაცემა „ეთნოფორის“ წამყვანმა მიხეილ გაბაიძემ, რომელიც ჩემი შვილის, დათოს მეგობარია, ერთი ადამიანი მირჩია: კარგი ხელოსანია, ღუღუნა, მშვიდი, თავისი საქმის პროფესიონალი, ანაზღაურებაც მისაღებია, ბევრს არ ითხოვსო. მობილურის ნომერიც მომცა. დავუკავშირდი. უკვე საუბრისას მივხვდი, როგორ ადამიანთან მექნებოდა საქმე. მოკლედ, მოვიდა, ჩამოხსნა გამათბობელი, შიგნით კარგად დაათვალიერა, დაშალა, ნაწილები სათითაოდ შეამოწმა, ერთ-ერთ მილში გაჭედილი, ყველაფერში „დამნაშავე“ პატარა ქვა იპოვა და... დიდი ხნის პრობლემა, სხვებმა რომ ვერ მოაგვარეს, გადაჭრა. ხელოსანი კი უმაღლესი განათლების მქონე ბათუმელი მშენებელ-ინჟინერი ზურაბ ჯაყელი აღმოჩნდა, რომელიც თავის დროზე სხვადასხვა დაწესებულებაში მუშაობდა და ყველას თავი პროფესიონალიზმით დაამახსოვრა.



ბატონი ზურაბი ბათუმში დაიბადა, ჯერ ბათუმის პირველ ვაჟთა გიმნაზიაში სწავლობდა, მერე, როცა მეხუთე კლასში მათემატიკის მასწავლებელმა, რომელიც საშინაო დავალებების შეუსრულებლობის გამო ორიანებს უწერდა და საბოლოოდ, კლასშიც ჩატოვა (ამბობს, რომ რვეულები არ იშოვებოდა და საშინაო დავალებებს ამიტომ ვერ წერდა. საკონტროლო რომ კარგად დაწერა, გადაწერილი გაქვსო, ეუბნებოდა მასწავლებელი), დედ-მამის მშობლიურ, სოფელ აცანის სკოლაში გადავიდა. შემდეგ, როგორც ყველა ახალგაზრდა, სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. დედამ - ქეთევან ცეცხლაძემ გააცილა, რომელიც პირველი იყო ჩაის კრეფაში - „სტახანოველი“. ჯარიდან რომ ჩამოვიდა, ერთი კვირა დაისვენა, მერე საბუთები კომკავშირის კომიტეტში მიიტანა. ეს იყო 1959 წელი. იანვარში ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხანაში დაიწყო მუშაობა. სამი თვე თავდაპირველად გამოცდილი ზეინკლის, მაღალკვალიფიციური ოსტატის მოსწავლე იყო, თავადაც კარგი შეგირდი აღმოჩნდა. ქარხნიდან 1963 წელს წამოვიდა - საღამოს დასწრებულზე სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბათუმის ფილიალში და ვერ ასწრებდა. მალე მუშაობა მეორე დიდ ქარხანა - „ელექტროკარში“ დაიწყო. ეს ქარხანა ძველ ბათუმელებს კარგად ახსოვთ - ადრე ზღვის სანაპიროზე იყო, მერე - ლეონიძის დასახლებაში. იქ ჩარხებზე მუშაობდა. ხელფასი გამომუშავებით ჰქონდა. ძალიან ცოტას იღებდა, რადგან ძნელად გასაკეთებელ საქმეს აძლევდნენ და დიდ დროს ანდომებდა. მაშინ 20 წლის იყო. იქ სულ რამდენიმე თვე იმუშავა და „ბათუმგაზში“ გადავიდა ზეინკლად. არაერთი მადლობა აქვს მიღებული. 1970 წლამდე აქ იმუშავა, მერე - ქუთაისის გაზიფიკაციის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ფილიალში, რომელიც მოგვიანებით „აჭარგაზის“ ტრესტად გადაკეთდა. ძირითადად, ახალი სახლების ეზოებში გაზის რეზერვუარებს ამონტაჟებდა. ბუნებრივი აირი რომ შემოვიდა, ეს რეზერვუარები აიღეს. აირის პირველ ანთებაზე მიიწვიეს 31 დეკემბრის ქუჩაზე ერთ-ერთ სახლში. იგონებს, რომ მაშინ ამ ცერემონიას ასლან აბაშიძეც ესწრებოდა და სიტყვითაც გამოვიდა. მერე „აჭარგაზის“ ტრესტში, სადაც მუშაობდა, ზეინკლების სამსახურის უფროსად დანიშნეს, 15 ზეინკალი იყო მის დაქვემდებარებაში. იქ 2012 წლამდე, შემცირებამდე მუშაობდა, ასაკის გამო გაუშვეს, მაგრამ მუშაობა ახლაც შეუძლია. ამ ხნის განმავლობაში არც გაჩერებულა, ოჯახსაც რჩენა სჭირდებოდა და უსაქმოდ ყოფნაც არ შეეძლო. „ჩემმა ხელებმა სულ უნდა იმუშაოს“, - მითხრა. 85 წლის უგანათლებულესი ადამიანი, თავისი საქმის პროფესიონალი, რომელსაც შარშან 85 წელი შეუსრულდა, დადის ოჯახებში და საქმის ცოდნით აკვირვებს და თავს აყვარებს ყველას. ზეინკალი უმაღლესი განათლებით, არემონტებს გაზქურებს, წყლის და ჰაერის გამათბობლებს. ყველგან ფეხით მიდის, საზოგადოებრივ ტრანსპორტს არ იყენებს.

ამბობს, რომ დღეს ახალგაზრდებს მეტი გასაქანი აქვთ. თუმცა ძველი დროიდან ის მოსწონს, რომ ქარხნები მუშაობდა და ხალხიც დასაქმებული იყო. უკვირს, მასწავლებელს ბავშვისთვის შენიშვნის მიცემის უფლება რომ ჩამოართვეს - „შენიშვნას თუ არ მისცემ, როგორ განასხვავოს ერთმანეთისგან მოზარდმა კარგი და ცუდი?!“.

კარგი ოჯახი ჰყავს, ქალ-ვაჟი და სამი შვილიშვილი. მეუღლე, მაგული კორძაძე, ადრე პედაგოგად მუშაობდა...

წასვლის დროს დამაიმედა, რომ ჩემი ძველი გამათბობელი კიდევ დიდხანს გაძლებდა, მიზერული თანხა მოითხოვა და დამემშვიდობა.

უფალმა დალოცოს ყველა კეთილსინდისიერი ადამიანი. დღეს საქვეყნოდ გეუბნებით დიდ მადლობას თქვენი შრომისთვის, ბატონო ზურაბ. იდღეგრძელეთ.



# მოურინიო ხვიჩას შესაჩერებლად... კვლავ „ყველაფერზე წამსვლელია“?





ყველამ, ვინც იტალიის სერია „ა“-ს თუნდაც ხვიჩა კვარაცხელიას შესანიშნავი თამაშის გამო ადევნებს თვალყურს, იცის, რომ ხვალ, 29 იანვარს, თბილისის დროით 23:45 საათზე, ჩემპიონატის ლიდერი „ნაპოლი“ „რომას“ უმასპინძლებს.

რასაკვირველია, „რომა“ „ლაციოსთან“, „მილანსა“ და „ინტერთან“ ერთად სეზონის ბოლომდე ეცდება, ჩემპიონატის ლიდერ ნეაპოლელებს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიოს.

მოგეხსენებათ, ლუჩანო სპალეტის გუნდს 50 ქულა აქვს. სეზონის ნახევარში აქამდე მსგავსი ან უკეთესი შედეგი სულ ხუთჯერ დაფიქსირდა, ერთხელ „ინტერმა“, დანარჩენი კი „იუვენტუსმა“ შეძლო, თუმცა „კალჩოპოლის“ სკანდალის გამო, „ბებერი ქალბატონის“ 2005-2006 წლების სეზონის მიღწევა ანულირებულია.




მოდით, ამ გუნდებს შორის ჩატარებული მიმდინარე სეზონის პირველი მატჩი გავიხსენოთ. რომაელთა თავკაცმა ჟოზე მოურინიომ თავდაცვაზე მაქსიმალურად იფიქრა - მის გუნდს მოწინააღმდეგის კარისკენ ნორმალურად არც გაუხედავს, თუმცა შეხვედრის ბოლოს ვიქტორ ოსიმენი კრის სმოლინგს დიდოსტატურად გაექცა და გამარჯვების გოლი (1:0) გაიტანა.

ისიც გვახსოვს, იმ დაპირისპირების წინ „განსაკუთრებულად“ წოდებული სპეციალისტი ღიად რომ ამბობდა, ხვიჩა კვარაცხელია ყველა ხერხით უნდა შევაჩეროთო. საგანგებო დაცვით სისტემაში ქართველი გარემარბის ირგვლივ პოლონელი ნიკოლა ძალევსკი იმოძრავებს, ნემანია მატიჩი კი საყრდენ ზონას გაამაგრებს. შეხვედრას დანიელე ორსატოს სახით ისეთი არბიტრი განსჯის, იმედი გვაქვს, ნებისმიერ ხისტ ქმედებას შესაბამისად დასჯის.

თუკი ვიქტორ ოსიმენი გოლის გატანას შეძლებს, ის მისთვის სეზონში მე-14 იქნება, რაც საუკეთესო შედეგის განმეორება გამოვა. აღსანიშნავია, რომ ის სტანდარტულ მდგომარეობებს (პენალტი, ჯარიმა) არ ასრულებს. ნიგერიელს ოთხჯერ ხვიჩა კვარაცხელიამ (სულ 7 შედეგიანი მოქმედება აქვს) გაატანინა. ოსიმენს პიოტრ ზელინსკიც კარგად უგებს.

„კვარამ“ გუნდთან ერთად ივარჯიშა და ის, „წესით“, ძირითად შემადგენლობას უნდა დაუბრუნდეს, პოლონელს კი სათადარიგოთა სკამზე მოიაზრებენ - სასტარტოში ელიფ ელმასი უნდა ვიხილოთ.

აღსანიშნავია, „რომას“ „ნაპოლისთვის“ 2019 წლის შემდეგ არ მოუგია დამ ზოგადად, ჟოზე მოურინიოს ლუჩანო სპალეტის წინააღმდეგ უჭირს. პორტუგალიელი მთავარი მწვრთნელი 60 წლის გახდა, თუმცა ჟოზემ პომპეზურ აღნიშვნაზე უარი თქვა და განაცხადა, რომ „სტადიო მარადონაზე“ გამარჯვება მისთვის ყველაზე დიდი საჩუქარი იქნება.

მოკლედ, ორმატჩიანი იძულებითი პაუზის შემდეგ „კვარადონა“ ბრუნდება და ის ახლა უკვე „რომას“ ემუქრება. ჩვენებურმა ბოლოს სწორედ საშინაო არენაზე ითამაშა და „იუვენტუსის“ ანგარიშით 5:1 „განადგურებაში“ დიდი წვლილი შეიტანა - გოლიც გაიტანა და, ფაქტობრივად, ყველა საგოლე კომბინაციაში მონაწილეობდა.

ამირან გურიელიძე